

046

# პიონერ



1946 ივლისი № 6

ალეკო ანგვალია  
გამარჯობა სოფელში

ზურმუხტად გადახატულო  
და გულის დამატკობელი,  
შენ გამარჯობა, სოფელო,  
ამწვანებულო სოფელო!

თქვენ გამარჯობა, ველებო,  
მთებო, თეთრნაბდიახებო,  
ბარაქიანო ყანებო,  
ყანებო ოქროს ყანებო.

მოვდივარ გახარებული,  
მოვდივარ გალადებული,  
დამხვდით ჩანჩქერთა გუგუნით,  
მინდვრად ქედნების ლულუნით,

წისკვილის ტკბილი ზღაპრებით,  
ნისლის გაშლილი აფრებით,  
დილით ცვარ-ნამის ვერცხლითა,  
ცაში გაჭრილი მერცხლითა...

მოვდივარ გახარებული,  
მოვდივარ არ ვგვიანდები,  
ამინთეთ, ამიჩირადნეთ  
ფერადი განთიადები!..

ნახვამდის სასწავლებელი,  
კვლავ ჩქარა დაგიბრუნდები,  
რომ დავეწაფო სწავლასა,  
რომ ვისახელო ხუთებით...

ახლა კი, აჰა, სოფელი,  
ამწვანებული სოფელი,  
ზურმუხტად გადახატული  
და გულის დამატკობელი!

4130



(1875 — 1946)

### მიხეილ ივანეს-ძე კალინინი

ამ წლის 3 ივნისს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი დამაარსებელი და გამოჩენილი ხელმძღვანელი ამხანაგი მიხეილ ივანეს-ძე კალინინი.

მიხეილ ივანეს-ძე კალინინი დაიბადა 1875 წლის ნოემბერში ტვერის გუბერნიაში (ამჟამად კალინინის ოლქი).

მან თავისი სიცოცხლის 50 წელი მშრომელთა მასების განთავისუფლებისათვის ბრძოლას მოახმარა.

ამხანაგ მიხეილ ივანეს-ძე კალინინის მოღვაწეობა ყოველთვის იქნება სახელმწიფოებრივი სიბრძნისა და ხალხთან განუყრელი კავშირის წინაშე, კომუნიზმის საქმისათვის გმირული სამსახურის მაგალითი.

საქართველოს  
საბჭოთაო კავშირი

# ბრძენი მასწავლებელი

— „ჩემი სურვილი მხოლოდ ისაა, რომ თქვენ კარგად სწავლობდით, სურვილი, რომელსაც გამოსთქვამენ პედაგოგები, მშობლები, მთავრობა“.

ასე დაიწყო ამ ექვსი წლის წინათ მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა თავისი სიტყვა ქალაქ მოსკოვის ბაუმანის რაიონის მოსწავლეთა კრებაზე.

ამხანაგი კალინინი, სიყვარულით, მამობრივად ზრუნავდა რა საბჭოთა ბავშვებისათვის, ზმირად მოაგონებდა მათ მოსწავლის მოვალეობას, იმას, რომ „კარგად და ჩინებულად სწავლა საბჭოთა ბავშვების უმთავრეს პატრიოტულ საქმეს წარმოადგენს“.

მიხეილ ივანეს-ძე დიდი პატივისცემით ეკიდებოდა პიონერულ ყელსახვევს. მას სურდა, რომ პიონერები ყოფილიყვნენ ნამდვილი ნორჩი ლენინელები, მათ უწოდებდა საბჭოთა ხალხის სიხარულსა და იმედს, ამბობდა, რომ „...პიონერულ ორგანიზაციას ენიჭება სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა საბჭოთა ბავშვების კომუნისტური აღზრდის საქმეში“.

პიონერული ორგანიზაციის 15 წლისთავზე მიხეილ ივანეს-ძე მიესალმა საბჭოთა კავშირის პიონერებს. ამ მისალმებაში იგი ამბობდა:

„კარგია პიონერობა საბჭოთა კავშირში. პიონერის ასაკი საუკეთესო წლებია ადამიანის ცხოვრებაში. ყველას უყვარხართ, ყველანი ყურადღებით და ზრუნვით გეკიდებიან“.

იგი მშობელ მამასავით გადევნებდათ თვალყურს საბჭოთა ქვეყნის ბავშვებს; როგორნი იზრდებოთ, როგორ ეპყრობით უფროსებს, ერთმანეთს, როგორ ატარებთ თავმსუფალ დროს; მისდევთ თუ არა სპორტს.

სპორტს მიხეილ ივანეს-ძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა.

„ჩვენ სათუთობისა და უნებისყოფობის წინააღმდეგი ვართ, — ამბობდა იგი, — ჩვენ ვისწრაფვით აღვზარდოთ ძლიერი, ამტანი, ცხოვრებაში აქტიური ადამიანები. ამიტომ, მე ვფიქრობ, ფიზკულტურამ სკოლაში დიდი ადგილი უნდა დაიკავოს არა სიტყვით, არამედ საქმით“.

ბავშვებო, თქვენ დაგეწყით საზაფხულო არდადეგები. და ახლა მეტად საპარგებლოა მოგაგონოთ მიხეილ ივანეს-ძე კალინინის კიდევ ერთი ბრძნული რჩევა. იგი ამბობდა, რომ ბავშვებმა „მიზანშეწონილად უნდა გამოიყენონ, განსაკუთრებით პიონერულ ბანაკებში ყოფნა, სადაც, გარდა დამცვენებისა, უნდა გამოიმუშაონ შრომის ჩვევა, ისწავლონ საბანაკო წესის დაცვა, გამოიწროთ ფიზიკურად, რომ ტანადი და მაგარკუნთებიანი ბავშვები იყვნენ“.

მიხეილ ივანეს-ძე ყველა ბავშვს ურჩევდა შეესწავლა მშობლიური მხარე. იგი ამბობდა, რომ პატრიოტიზმის დანერგვა საშრობლოს ზედმიწევნით შესწავლით იწყება. ახლა ათასობით პიონერული რაზმი მიდის სამოგზაუროდ სამშობლო მხარეში, რათა კიდევ უკეთ გაიცნოს საყვარელი სამშობლოს სილამაზე და სიმდიდრე.

„სოციალისტური სამშობლო — რა დიდი სიტყვებია! — ამბობდა მიხეილ ივანეს-ძე. — და არა არის რა იმაზე უფრო დიადი, უფრო კეთილშობილი და წმიდა ამოცანა, ვიდრე ამოცანა ემსახურო შენს სოციალისტურ სამშობლოს, ემსახურო არა სიტყვით, არამედ საქმით“.



საბჭოთა კავშირის სახალხო  
არტისტი აკაკი ხორავა



საქართველოს საბჭოთა სოცია-  
ლისტური რესპუბლიკის სახალხო  
არტისტი გიორგი დავითაშვილი



საბჭოთა კავშირის სახალხო  
არტისტი აკაკი ვასაძე

მ-მდინარე წლის 27 ივნისს გამოქვეყნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებისათვის 1945 წელს მოპოვებულ თვალსაჩინო მიღწევების გამო სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ.

ახალ ლაურეატთა შორის არიან ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა რესპუბლიკის წარმომადგენლები.

სტალინური პრემია მიიღეს წელს რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრის სპექტაკლის „დიდი ხელმწიფის“ დამდგმელებმა და შემსრულებლებმა — აკაკი ხორავამ, აკაკი ვასაძემ და გიორგი დავითაშვილმა. პიესაში „დიდი ხელმწიფე“ ივანე მრისხანის მეტად რთულ როლს ასრულებს აკაკი ხორავა, შუისკის სახე შექ-


მნა აკაკი ვასაძემ, ბორის გოდუნოვს ანსახიერება—გიორგი დავითაშვილი.

დიდი ჯილდო ზვდა წილად თანამედროვე ქართულ ქანდაკებას. სახელოვანი მოქანდაკე—იაკობ ნიკოლაძე დაჯილდოებულია სტალინური პრემიით. მან შექმნა პოეტ ჩახრუხადის ქანდაკება, რომელიც საყოველთაო აღტაცებას იწვევს.

სტალინური პრემიები მიიღეს საბჭოთა საქართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკებმა — ქიონია სარსანიამ და ჩოქოლი ქვაჩახიამ.

დიდი შრომითი პათოსი, რომლითაც ჩვენი ხალხი ეწევა გრანდიოზულ მუშაობას სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი აღმავლობისათვის, კიდევ უფრო გააძლიერებს შემოქმედებითი აქტივობას და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანს მას ახალ სტალინურ ხუთწლედში.





# ბავშვები

ტყის პირას, შემდეგ, როცა ისაუზმებდნენ, უფრო პატარები ბალახზე იძინებდნენ, თხილნარისა და ძახველის ჩრდილში, ხოლო ათი წლის ვაჟაკნი, მჭიდროდ შემოკრებილნი ჩემს ირგვლივ, მთხოვდნენ მეამბნა მათთვის რამე. და მეც ვუამბობდი მათ რაღაცას, ვლაცობდი ისევე ხალისიანად, როგორც ისინი ყბელობდნენ ხოლმე ჩემთან. და ხშირად, მიუხედავად ჭაბუკური თავისმოიმედობისა, რაც მაშინ მახასიათებდა, ჩემს თავს ბავშვად ვთვლიდი ბრძენთა შორის.

I

მეძნელება ამ პატარა ამბის მოთხრობა, — ისე მარტივია.

როდესაც ჭაბუკი ვიყავი, კვირაობით, — გაზაფხულზე და საფხულობით, შევეკრებდი ხოლმე ჩვენი ქუჩის ბავშვებს და დილიდანვე მიმყავდა მინდორში, ტყეში: მომწონდა ფრინველებივით მზიარულ ადამიანებთან მეგობრული ცხოვრება.

ბავშვებს ახარებდათ ქალაქის ვიწრო და მტკრიანი ქუჩების მიტოვება, დედები მათ პურის ნატეხებით ამარაგებდნენ, მეც გემრიელ რამეს ვიყიდდი, დიდ ბოთლში ჩავასხამდი ბურახს და მწყეპსივით უკან მივდედი უზრუნველ კრავებს ქალაქზე, მინდორზე გავლით, გაზაფხულის სამოსელით მორთულ სატეცხოო და ალერსიან მწვანე ტყემდე.

ჩვენ თითქმის ყოველთვის დილით გავდიოდით ქალაქიდან, წირვის ზარის რეკის დროს. გვაცილებდა ზარების ხმა და ბავშვების აჩქარებული ნაბიჯით ამდგარი მტკრის ღრუბლები.

მცხუნვარე შუადღისას, თამაშით დაქანცული ჩემი ამხანაგები იკრიბებოდნენ

ჩვენს ზევით ლურჯი ცისკიდურია, წინ — ბრძნულ სიჩუბეშია ხშირი ტყე; გაინვარლებს ქარი, გადაივლის წყნარი ჩქამი, შეირხვეიან სურნელოვანი ტყის ჩრდილები, და კვლავ მაღლიანი სიწყნარე ეალერსება სულს.

თეთრი ღრუბლები ნელა დასცურავენ; მშით გახურებული მიწიდან ცა თითქოს ცივი გეჩვენება და უცნაურია უყურებდე, რომ ღრუბლები დნებიან მასში.

ერთხელ, როცა მე ბავშვებს ჯგუფით ქალაქიდან ველად გავდიოდი, ერთი უცნობი ებრაელის ბიჭი შემომხვდა. ფეხშიშველი, დაფლეთილი პერანგით, გამხდარ სახეზე ამოხაზოდა შავი წარბები, ბატკანსავით ხუტუტა თმები ჰქონდა.

ის რაღაცით იყო შეშფოთებული და, ეტყობოდა, ახლახანს ეტირნა: შესიებული და დაწითლებული შავი მიმქრალი თვალების უბეები მკვეთრად უჩანდა მკრთალ დამწეულ სახეზე.

წააწყდა თუ არა ბავშვების ჯგუფს, ის ერთ წამს შეჩერდა, შემდეგ მაგრად დაეყრდნო ფეხებით დილის ვრილ მტვერს, მისი ლამაზი პირის მუქი ტუჩები ნახევრად გაიხსნა — მეორე წამში კი ის მსუბუქი ნახტომით თლილ ქვაფენილზე გაჩნდა.

— დაიჭირეთ ეგ! მზიარულად და ერთ-



ხმად შეჰყვიროს ბავშვებმა — ურიკელა!  
ლაიჭირეთ, ურია!

მე ველოდი, რომ ის გაიქცეოდა, — მისი გამხდარი, დიდთვალემა სახე შიშს გამოხატავდა, ტუჩები უთრთოდა, ის იდგა დამცინავ ხმაურში და უცნაურად იჭიმებოდა, თითქოს იზრდებოდა, მხრებით ღობეზე მიყრდნობილს ხელები ზურგსუკან ჰქონდა დამალული.

მაგრამ მან უცებ მშვიდად და მკაფიოდ სთქვა:

— გინდათ, მე თქვენ ფოკუსებს გაჩვენებთ?

მე ეს წინადადება გავიგე, როგორც თვითდაცვის საშუალება, ბავშვები კი ამან მაშინვე დააინტერესა და მისკენ მიიზიდა; თუმცა შედარებით უფროსნი და უხეშნი უნდობლად უმზერდნენ პატარა ებრაელს. ჩვენი ქუჩის ბავშვები მტრობდნენ სხვა ქუჩის ბავშვებს, ჩვენი ბალები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული თავიანთ რაღაც უპირატესობაში სხვა ქუჩის ბავშვების წინაშე და არ უყვარდათ, არ შეეძლოთ შეემჩნიათ სხვა ბავშვების უპირატესობა.

პატარები ამას უბრალოდ შეხვდნენ.

— გვაჩვენე! — შეჰყვიროს მათ.

ლამაზმა თხელმა ბიჭმა დაიხია ღობიდან, გადალუნა თავისი გამხდარი ტანი უკან, ხელებით შეეხო მიწას და, აისროლა რა ჰაერში ფეხები, დადგა ხელებზე, შესძახა:

— ჰოპ!

და როგორც ცხელწყალგადასხმული დატრიალდა, მოქნილი, მსუბუქი ტანით. მისი პერაიგისა და შარვლის ნახვრეტებში გამოსჩვივოდა მონაცრისფერი კანი, გამხდარი ტანისა, მკვეთრი ფეხებით გამოიყოფოდა ბეჭების, მუხლებისა და იდაყვების ძვლები. მისი ლავიწები სწორედ ლამაზი იყო.

გეგონებოდა, რომ აი ის გადაიღუნება ერთხელ კიდევ და ეს თხელი ძვლები მტვრევისაგან ატკაცუნდებიანო.

ის გაოფლანებაზე წვალობდა, მისი პერანგი ზურგთან შესველდა; გააკეთებდა რომელიმე ვარჯიშს, სახეში შეხედავდა ბავშვებს ძლიერის მომაკვდინებელი ღიმილით, რა არასასიამოვნო იყო შეხედვა მისი მჭრქალი, თითქოს ტკივილებისაგან გაფითრებული თვალებისა; ისინი უცნაურად კრთოდნენ, და მას გამოხედვაში ბევრი იყო ნაძალადევი, არაბავშვური დაძაბულობა.

ბალები ახალისებდნენ მას ხმაურიანი ყიჟინით, ბევრი უკვე ბაძავდა კიდევ, კოტრიალობდნენ ბუქში, ეცემოდნენ, ყი-

ვინებდნენ უნერხული მოძრაობით გამოიწვეული ტკივილების გამო, დამარცხებულად, მიღწევათა და შურით, მაგრამ ეს მხიარული წუთები უმალ გაჰქრნენ, როცა ბიჭმა, შეწყვიტა ხელმარჯვეობის ჩვენება, ბავშვებს გამოცდილი მსახიობის თვალებით შეხედა, გამხდარი ხელი გამოიშვირა და სთქვა:

— ახლა — მომეცით რამე,

ყველა გაჩუმდა; ვიღაცამ ჰკითხა:

— ფული?

— ჰო, — უპასუხა ბიჭმა.

— ჩვენც კი შევძლებდით ფულზე...

ამ თხოვნამ პატარათა საზოგადოებაში მტრული და უპატივცემულო დამოკიდებულება გამოიწვია მსახიობისადმი, — ბავშვები მინდვრისაგან წავიდნენ დაცინვითა და ლანძღვით. რასაკვირველია, ფული არც ერთ მათგანს არ ჰქონდა, მე კი მხოლოდ შვიდი კაპიკი აღმომაჩნდა. ის გროშები დავუწყვე გამტვერიანებულ ხელისგულზე, ბიჭმა ისინი შეათამაშა თითებით და საამო ღიმილით სთქვა:

— გმადლობთ...

ის თავისთვის წავიდა, და მე — დავინახე,





რომ მის ზურგზე პერანგი სულ დალაქავებულია და მიწებებია ბეჭებზე.

— მოიცა, რა არის ეს?

ის შეჩერდა, მობრუნდა; ყურადღებით შემომხედა და ისეთივე საამო ღიმილით მითხრა გარკვევით:

— ეს—ზურგზე? ეს ჩვენ ჩამოვფარდით ტრაპეციიდან ბალაგანში — მამა ჯერ კიდევ წევს, მე კი უკვე ჯანმრთელად ვარ...

პერანგი აფუწივ: ზურგის კანზე მარცხენა მხარეს და გვერდით განიერი მუჭი ჭდეულობა ჰქონდა, ის შეხმობოდა სქელი ფუფხით, მაგრამ ვარჯიშის დროს ფუფხი გამსკდარიყო რამდენიმე ადგილას, საიდანაც ალისფერი სისხლი მოჟონავდა.

— ახლა უკვე არ მტკივა,—სთქვა მან, ღიმილით,—არ მტკივა, მხოლოდ მექავება.

მან, ვაუკაცურად, როგორც გმირს შეჰფერს, შემომხედა თვალებში, ის დიდი კაცისებური სერიოზული ტონით განაგრძობდა:

— გგონიათ, მე ჩემთვის ვმუშაობ? პატროსან სიტყვას ვამბობ, არა! მამა... ჩვენ ლუკმაბურიც არა ვვაქვს! მამა კი ისე

დაიმტვრა! იცით—საჭიროა ვიმუშაოთ... რაელები ვართ, ყველანი ჩვენ დაგვცინიან... ნახვამდის...

ის ღიმილით, მხიარულად და გაბედულად ლაპარაკობდა.

ხუჭუჭა თავი გამოსალმების ნიშნად დამიკრა და ძლიერ სწრაფად წავიდა დიდთვალა სახლების გასწვრივ; ისინი უმზერდნენ მას მინის თვალებით, გულგრილად და უსიცოცხლოდ.

ეს უმნიშვნელო და უბრალო ამბავია, ხომ?

მაგრამ ჩემი ცხოვრების მძიმე დღეებში, არაერთხელ მომგონებია მადლიერებით იმ ბიჭის ვაუკაცობა.

და ახლა, ამ წამების სისხლიან უსიამოვნებათა ნალვლიან დღეებში ვიგონებ იმ ბიჭს, რადგან იგი გამოსატყუდა სწორედ ვაუკაცობას არა მორჩილ მოთმენას მონიხას, გაურკვეველი იმედებით რომ ცხოვრობს, არამედ გულადობას ძლიერის ადამიანისას, რომელიც დარწმუნებულია გამარჯვებაში.



11.


ეკლესიის გალავანს იქით, ნორჩ ნაზ ბალახზე შემოდგომის გახევებულ ფოთლებთან ხეების ქვეშ ნმაურით თამაშობენ ბავშვები; ეკლესიის პირდაპირ დიდი სახლის შიშკარს მიყრდნობია მოხუცი ებრაელი და შეპყურებს ბავშვებს, შევერცხლილ წვერში ოდნავ ილიმება.

ებრაელი — თავისებურია, უცხოა, მას გრძელი სერთუკი აცვია ქუსლამდე ხავერდის მაღალციანი ჩინაქული ხურავს გაყვითლებულ ღაწვზე შავი კლუტლები ჩაჭოპილებია, ქალარა ძლიერად აქვს შერეული, წარბები კი ოდნავ შავი აქვს, როგორც ახალგაზრდას. მისი გამხდარი სახე მეტად ლამაზია; განსაკუთრებით აღსანიშნავია მუჭი, ნაღვლიანი თვალები. მათი ნაღვლიანობა უფრო მეტად ნათელი ხდება რბილი, ნახევრად დაფარული ღიმილით. მაღალი და თხელი, ის მოგაგონებდათ ლილიენის მოხდენილ ნახატებს.

უნებურად გაიფიქრებ, რომ ის ამ ქა-

ლაქში მარტოდმარტო იტანჯება და რომ საღდაც შორს მას დარჩნენ შეილიმვილები, აი ასეთივე შლეგნი, როგორც ესენი, ეკლესიის გალავანს იქით რომ არიან.

ჩაიყოფს რა ხელს სერთუკის ჯიბეში, მოხუცი ებრაელი იღებს ბლუჯა, ღია ფერად ქაღალდებიან კანფეტებს, ხოლო მეორე ხელით წვერს ისწორებს. მისი წარბები მოძრაობენ, სახეზე ოდნავი კმუნვის ჩრდილები აქვს. ის ხელახლა იყოფს ჯიბეში ხელს და ამოდრავებს მას. ცხადია, ის ისურვებდა მიეცა კანფეტი ბავშვებისათვის, მაგრამ ეშინია. ეკლესიის გალავანს იქით, დუქნებთან, მჭიდროდ სხედან დედაკაცები—ვის შეუძლია სთქვას, როგორ მიიღებენ ისინი ალერსს ერთ-ერთ იმ ადამიანთაგან, რომლებზეც სისულელე ისე ბევრს ლაპარაკობს ბოროტ უხამსობას? და შეიძლება, თვით ბავშვებიც უკვე არიან მოწამლულნი შხამით, რომელიც გამოიმუშავა უფროსების ავმა სისხლმა.



— აი, ვიპოვე მე გასართობი!  
მე დავუწყე გამოკითხვა — როგორც, წინასწარი დარწმუნებით, რომ სერგეიკამ ნახა არაჩვეულებრივი რამ. ის ჯერ გაინახა და გაიპრანჭა თავისი საიდუმლოთი, მაწვალა, რამდენიც საჭირო იყო იმისათვის, რომ აენთო ჩემში ცნობისმოყვარეობა, სერგეიკამ მედიდურად მკითხა:

— შენ გინახავს, როგორ ლოცულობს ებრაელი?

მე არ მენახა.  
— წამოდი — გაჩვენებ! მაგრამ პირველად საჭიროა გადაძვრე ხუცების ბაღში, შემდეგ — საკუჭნაოს სახურავზე, სახურავიდან ფანჯარაში მოსჩანს — უკ, რა ზორბად ლოცულობს ის!

ჩვენ მაშინვე გავემართეთ ხრამისაკენ, სადაც ეშვებოდა ხუცების ბაღის ღობე, გადავძვრით ბაღში, ავცოცდით საკუჭნაოს სახურავზე ყოველგვარი სიფრთხილით, რომელიც აუცილებელი იყო ჩვენი განზრახვის უთუოდ შესრულებისათვის. ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ხუცების მეეზოვე მეტად მოხერხებულად და მწვავედ უსრესს ყურებს სხვის ბაღებში მოგზაურთ.

სახურავიდან ჩანდა ფანჯარა, აბანოს მსგავსი, ძველი ხის სახლისა, ხოლო ფანჯარის იქით, ნახევრად ბნელ ოთახში, იდგა, მოქანავე პატარა კუზინი ებრაელი, შემოსულრული განიერ ზოლოვან ჩასაცმელში; შუბლზე მას ქიმაგრებული ჰქონდა რაღაცა ყუთი, ხელზე შემოეხვია თასმა. ის ქანაობდა ვით ღერო ნიაგზე, ბუტბუტებდა და დაიმღეროდა რაღაცას უცნაურად სამწუხაროს.

მოვუსმინე ცოტახანს, ვიგრძენი, რომ ეს მოსაწყენია, და ვკითხე სერგეიკას:

— რატომ არის ის ასეთი?

— იმიტომ, რომ ცოდვილია! დაჯერებით სთქვა სერგეიკამ — ეგენი ყველანი ცოდვილებია, ჩვენ კი — მართმადიდებლები ვართ.

მე გადაჭრით არ მომეწონა სერგეიკას შიშველი „ოხუნჯობა“ — სევდიანი ამოძახება ცოდვილიანზე ნაღველს მგერიდა. მასურდა „გამეტურებინა“ ამხანაგი, მე მას მზაკვრული შეკითხვა დაუსვი:

— შენ კი — მართმადიდებელი ხარ?

მან დამშვიდებით მიპასუხა:

— რასაკვირველია.

— მერედა რატომ პარავ მღვდელს ვაშლებს? — ვკითხე უფრო მეტად მზაკვრულად, მაგრამ სერგეიკამ შემომხედა აშკარა განცვიფრებით და მითხრა:

— ასე შენც ხომ იპარავ?

და დამამშვიდებლად დაუმატა:

— ვაშლები — ეს არაფერია! ბაღებიდან მოპარვა, შეიძლება, იმიტომ, რომ ბაღი, —

და ლამაზ თვალებში ღიმილის ჩაუქრობლად, კეთილმოქმედი მოხუცი კვლავ ჯიბეში მალავს კანფეტებს.

ციდან ეკლესიას, ბავშვებს და ებრაელს მორცხვად დაჰყურებს მზე.

ამ ებრაელმა მომაგონა სხვაზეც და ჩემი ბავშვობის ამხანაგზეც სერგეი სემამოკზე.

მე ცხრა წლისა ვიყავი, სერგეიკა კი ერთი წლით უმცროსი იყო ჩემზე, მაგრამ ბევრად გამბედავი; ის იყო გამბდარი, ჩიქვსავით აბურძნული, აჩეჩილი, ფიცხელი და დაუცხრომელი. მისი მკვირცხლი თვალები ეუფლებოდნენ საუცხოო უნარს — შეემჩნია ქვეყანაზე სხვადასხვა უცნაური, საინტერესო რამ „გასართობი“, განსაკუთრებით მახინჯ ან სასაცილო ადაშიანებზე, მუმლებსა და ბუზანკალებზე, ფრინველების ბუდეებზე, უცნაურად ლამაზ ბალახებსა და ყვავილებზე. მას ჰქონდა შეგრძნობა უნიჭიერესი მკვლევარისა ცხოვრების მოვლენებზე, სიცოცხლეს ხომ ისინი უყვარს, რომელთაც უყვართ იგი, მოწყალებითა და უხვად ხსნის მათ წინაშე პატარა საიდუმლოებებს, ხელმისაწვდომს ბავშვის გულისა და გონებისათვის.

ერთხელ მან მრავალმნიშვნელოვნად მითხრა:

სახლი არ არის. აი სახლიდან—არ შეიძლება.

— რისთვის? — ვკითხუ მე,—დავინახე, რომ ვერ ვჯობნი აზნაავა, ვერ ვუბნევ თავგზაა.

— აბა, როგორ თუ რისთვის? იმისთვის... სახლი—სახურავითაა დახურული, ბალი კი—დაუხურავია. სახლებს კარებები აქვს... რაკი რაში, დახურულია სახურავით, მაშ ხელს ხლებაც არ შეიძლება... იყურე! ებრაელმა უფრო აჩქარებით დაიწყო რწევა, დაიძვრა უფრო ხმაძალა და უფრო შეაბრალოსად. ის გავდა ჩიტს, რომელიც ეხეთქება ბნელ გალიაში.

სერგეიკა შეიკუმუნა და ჩამჩურჩულა:

— წვალობა!

მე არ მინდოდა დაჩუბება; და ვკითხე ამხანაგს, მისით და მისი „გასართობით“ უკაყოფლობა:

— რატომ შენ ხუცების ბაღზე წამოხვედი, ხომ შეიძლებოდა გაუტეხავი გზით მოსვლა აქ...

მან მიპასუხა:

— იქიდან საშიშია! შეუზოვე დაგვინახვდა, დაგვედევნებოდა...

და ბეჯითად წამიტილა გვერდში, მან ჩამიფურჩუნა, ხმაძალა და აჩქარებით:

— იცი, მე წავალ, მოვწყვეტ ხუცის ვაშლებს და დაუწყობ მას ფანჯარაზე, დეე ჭამოს—კარგი?

მე წინააღმდეგობა გავლწეე:

მაგას, უთუოდ, კბილები არა აქვს.

— არა უშავს შეწვამს და შეჭამს... ეგ ღარიბია.

ის პატარა და მოსხლეტილი თავესავით ჩასრიალდა სახურავიდან ხუცის ბაღში და

წუთის შემდეგ გავიგონე, როგორ ხმაძალდა რობდნენ ვაშლის ტოტები, რაკუნობდნენ მშრალ მიწაზე კიებისაგან გამოფულურობული ვაშლები.

აი სერგეიკა კვლავ სახურავზეა. მისი ილღა ძლიერადაა გამოხურცილი: ის იბერტყება ორივე ხელებით და ამბობს:

— ორი ათეულია; ნახევარი იმას — კარგი? გადავძვრეთ იმ მხარეზე!

ჩვენ ჩავედით ვიწრო შამბნარით ხუცების ბაღის დაბურულ გასავალსა და კედელგადმონეჩილ სახლს შორის; სერგეიკა ფრთხილად მიიპარა ფანჯრის ქვეშ და სწრაფად დაიწყო ვაშლების ამოლაგება ფანჯარაზე, მაგრამ უცებ გადმოხტა, როგორც ცხელწყალგადასხმული, და ჩამჩურჩულა:

— გავიქეთ, დაგვინახა!

სახლის კუთხეს რომ შემოვუბრინეთ სერგეიკამ შემაჩერა, ყური მიუგლო და სთქვა:


— არა უშავს, ის არ მოგვდევს, იმას ჩემი შეეშინდა!


— რატომღა გამოიქეცი?

— მეც შეეშინდა. როგორც კი შემოხედა, მე მაშინვე... კუზიანებისა მეშინიან!

მე გამოვედი საფარავიდან — ფანჯარასთან იღვა ჭალარა ებრაელი. მუჭისოდენა სახით და შავი თვალებით; მას ჩამუჭებულ ბავშვურ ხელის გულზე ღიამწვანე ვერის ვაშლი ედო, უყურებდა მას და იღიმებოდა განსაცვიფრებელი, ნათელი ღიმილით; მისი სახის ნათქები თრთოდნენ და თითქოს ბრწყინავდნენ ივნისის ცხარე მზეზე.

თარგმნა მანანა ხაზიურმა





ბაღში ვარდი გაფურჩქნილა,  
მზე ცხრა თვალით უმზერს მიწას;  
დაცხა უკვე და ნიაფი  
ოცნებების ფრთებად იქცა.

ნიაფივით ვერ ვისვენებ,  
ველ-მინდვრები მინდა ვნახო,  
ფეხშიშველამ გავიბრინო  
ტყის ბილიკზე სოფლის ახლო.

სიყვარულით მინდა ვენახს,  
ბაბუს ეზოს მოვკრა თვალი,  
ან ფუტკარი როგორ მივა  
ყვავილიდან სკაში მთვრალი.

მაგრამ მაინც ქალაქში ვარ  
და ვკითხულობ წიგნებს წყნარად.  
ველარ ვიცლი, ვერ ვსეირნობ,  
ბაბუსაც კი ვერ ვწერ ბარათს.

წიგნს დავსარი, ვით ცხრა თვალით  
მზე დაჰხარის ფართოდ მიწას;  
ეს მომთხოვნი გამოცდები  
წარჩინების საქმედ იქცა.

არ მინდა დავიგვიანო

ქვიშხეთო, მზეო-მზიანო,  
სურნელნაფრქვევო მთიდან,  
არ მინდა დავიგვიანო,  
ჩქარა გეახლო მინდა.

შენსკენ მოქრის და მოფრინავს  
ჩემი გული და აზრი...  
წუხელ მესიზმრა შენს მკერდზე  
მტევნებასსხმული ვაზი.


ალბათ ამ დღით ფიჭვნარში  
შაშვი ჭყვივის და მღერის,  
მინდვრად ყვავილი ჟუჟუნებს  
ნაირნაირი ფერის.

ტაშისკარში დვას ბანაკი  
ძველი კლარჯეთის გზაზე.  
წითელი დროშა ფრიალებს  
ჩვენი ბანაკის თავზე.

მტკვარი დუღუნით ჩაუქრიდა  
და მე შორიდან მესმის:  
ტალღას-ტალღაზე გადააქვს  
ბარათაშვილის ლექსი.

ერიამულია ბანაკში...  
ერთი ხმამალა მღერის:  
დღეგრძელი იყოს ბერია —  
შვილი ქართველი ერის!!

ქვიშხეთო, მზეო მზიანო,  
სურნელნაფრქვევო მთიდან,  
არ მინდა დავიგვიანო,  
ჩქარა გეახლო მინდა.



მეტად სახალისო საქმეა პიონერებისათვის ზაფხულში მთებსა და ისტორიულ ადგილებში წასვლა. ასეთ ექსკურსიებს მრავალგვარი სარგებლობა მოაქვთ. სუფთა ჰაერზე ყოფნა აჯანსაღებს სხეულს, უცნობი ადგილების ნახვა და შესწავლა აფართოებს ცოდნას, ამდიდრებს გონებას.

მაგრამ მრავალი მნიშვნელოვანი წვრილმანის შეუსწავლელად ექსპედიციაში წასვლა როდი შეეფერება პიონერს.

პიონერი დიდხანს და შეუპოვრად უნდა ემზადოს, უნდა შეისწავლოს ყველაფერი, რაც მას შეიძლება დასჭირდეს ლაშქრობისას.

ჩვენ ნაწილობრივ დავებმარებით პიონერებს შემდეგი რჩევით:

## ს ა ბ ა ნ ა კ ო ა დ გ ი დ ი


საბანაკოდ, ზაფხულში, უმჯობესია ბორცვოვანი ადგილი, ან წიწვოვანი ტყე (ფოთლოვანი ტყე უფრო ნოტიოა). ნიადაგი სასურველია ქვიშიანი იყოს, ანლომანლოს მოინახბოდეს: სასმელი წყალი, ფიჩხი, კარგია მოჩანდეს ბუნების ლამაზი სურათი.

## ჩ ა ნ თ ა ( რ უ კ ზ ა კ ი )

გამგზავრების წინ იყავი ყურადღებიანი, არაფერი დაგავიწყდეს! მგზავრობისას სასხვათაშორისო არაფერია, ყველაფერი დიდმნიშვნელოვანია.

ჩანთაში, რომელიც შედგება ორი განყოფილებისაგან, პირველ განყოფილებაში მოათავსე: ფაქიზად, სწორკუთხოვნად დაკეცილი თეთრფული (გახსოვდეს, რომ თეთრულ პატარა ნაკეცსაც შეუძლია გადაგიტყაოს ზურგი). მეორე განყოფილებაში ძირში ჩადგი ქვაბი, ტოლჩა და კოვზი, ჩანთის ერთ-ერთ ნაპირა ჯიბეში მოათავსე: პირსახოცი, საპონი, კბილის ფხვნილი, ჯაგარისი, მეორე ჯიბეში—„საავარიო“ საგნები: ნემსი, ძაფი, სამი ოთხი სამარაგო ლილი, სანიტარული ინდივიდუალური პაკეტი ბამბით და იოდით.

საქმელებისათვის შეიკერეთ პარკი და მოირგეთ აი ასე, როგორც ამ ნახატზეა ნაჩვენები.



## ც ე ც ხ ღ ი

ასანთი ადვილად სველდება, ამიტომ თვითელი ასანთის თავი გალზობილ პარაფინში ამოავლეთ და ისე წაიღეთ. პარაფინი ნესტს არ იკარგებს, ხოლო მაგარ საგანზე გასმით იფხვნება, ასე შენახული ასანთი ყოველთვის გაგიწევთ სამსახურს ლაშქრობაში.


გახსოვდეთ: კოცონი არ შეიძლება დაინთოს კული ტყის მიდამოში (აკრძალულია), აგრეთვე ტორფოვან ადგილას, ხეების, გაკუთრებით კი გამხმარი ნაძვის ხეების ახლოს.

ვიღრე მიწა, კოცონის დასანთებ ადგილას, არ გასუფთავდება ფიჩხისა და ფოთლებისაგან, კოცონის დანთება არ შეიძლება.

კოცონი სასურველია დაინთოს ისეთ ადგილას, რის ახლოც წყალია და არც ქარი ხვდება. წასვლისას კოცონი სრულიად უნდა გააქროთ. ადვილი შესაძლებელია პატარა ნაბერწკალმა დიდი ხანძარი გამოიწვიოს.

მშრალი, დაუღობი ნაძვის, მუხის, არყის და ლევის ფიჩხი იძლევა დიდსა და თითქმის უკვამლო ალს. ფიჭვისა და სოკის ფისიანი ტოტები ბევრ ბოლსა და ნაბერწკლებს უშვებენ.

კოცონის ასანთებად საუკეთესო მასალაა მშრალი ფიჭვის ან ნაძვის ტოტები. მათ დიდი ალი არა აქვთ, მაგრამ საკმაო სითბოს იძლევიან ცეცხლის გასაჩაღებლად. ანთ სარგებლობა, უმთავრესად, წვიმის დროსაა საჭირო.





ლაშქრად წასვლის წინ შეთანხმდით ნიშანზე, რომლითაც საჭირო შემთხვევაში, შეიკრიბებით ან მოძებნით რომელიმე ამხანაგს.

ნიშნად შეიძლება მიიჩნიოთ პიონერული საყვირის მოკლე ან გრძელი ძახილი.

სველი მიწა სხეულისაგან აუარებელ სითბოს იტაცებს, ხოლო ძილის დროს სხეულის გაცივება იწვევს ადამიანის ორგანიზმის დაავადებას რევმატიზმით, პლევრიტიტით და სხვა. ამიტომ სველ მიწაზე წოლასა და ძილს უნდა მოერიდოთ.

რუკა არ დაგიზიანდება, თუ მას გაახვევთ გამჭვირვალე ცელოფანის ქალაღში.

ნავთით გაჯღენტილი აგური კარგ ალს იძლევა და დიდხანაც ანთია. ღამისთვისას ამან შეიძლება ღამის მავიჯრობა გასწიოს.

ვახელის ხეთი, გამდნარ ნავთობინთან ერთად, საუცხოო საცხებელია, ამის კანზე წასმა 2-3 საათით იცავს სხეულს კოლფობისაგან.

ზედა ტანსაცმელზე თანაბრად გადაფარებული ჩალა სხეულს ათბობს დაახლოებით ისევე, როგორც ცხვრის ტყავი, და ღამისთვისას მას შეუძლია საბნის მავიჯრობა გასწიოს.

ელვის დროს ნუ გაჩერდებით მაღლა. შიშველ გორაკზე, ან ხმელი ხეების ქვეშ.



იცით რომელ ხეებს უფრო ეტანება მენი? ყველაზე მეტად — მუხას, შემდეგ: ნაძვს, ტირიფს, ჭადარს, სოჭსა და წიფელს.



თხელი მუყაოსაგან გამოსქერით პირველ ნახაზზე ნაჩვენები თარგის მიხედვით კალათის გვერდები (ორი ცალი). შემდეგ შემოსქერით ძირი (წრე) და ეს ნაწილები გამძლე ძაფით შეკერეთ. მონახეთ ნედლი ელასტიკური წნელი და შეკერილ კალათას გაუკეთეთ ყური.

სველი ხილისათვის უფრო სასურველია ჩვეულებრივი წნელის ან ჩალისაგან მოწნული კალათები. მათი დაწვნა ადვილია. ეს საქმე სოფელში ნამყოფმა თითქმის ყველა ბავშვმა იცის. პიონერთა ბანაკში ხომ ქალაქებისა და სოფლების ბავშვები ერთად იყრიან თავს. ეინც არ იცით წნელის და ჩალის კალათების დაწვნა, შეისწავლეთ მკოდნე ამხანაგისგან. დაწანით კალათები.





ადგილას (კარგია ბანაკის შესავალ-თან), ერთიმეორისაგან სამი მეტრის დაშორებით აქეთ-იქით ჩადვით ამოთხრილ მიწაში. ამოვეთ მომსხო სინა და მოლობეთ, აქ, ამ ნახატზე ნაჩვენების მსგავსად, შესავლის გვერდები და თალი.

თუ ნათესს ხშირად მორწყავთ და მოუვლით როგორც წესია (მოიგონეთ ბოტანიკა), თქვენი ბანაკის შესავალი არა უგვიანეს ერთი თვისა ულამაზეს მწვანე ანძად გადაიქცევა.

### ხელოვნური შხაპი


### მწვანე ანძა

პიონერთა ბანაკში ყველაფერი ლამაზი და გემოვნებით მოწყობილი უნდა იყოს.

აი შეხედეთ ამ მწვანე ანძას, რა მშვენიერია. მერეღა, თქვენ გგონიათ ძნელია მისი მოწყობა?!

მოამზადეთ 2 ყუთი 60-70 სანტიმეტრი სიგრძისა, 15-20 სანტიმეტრი სიგანისა და სიღრმისა. აავეთ ისინი ნოყიერი შავი მიწით და ჩათესეთ ისეთი მცენარის თესლი, რომელიც მოკლე დროში ხვეული წესით სიმალეზე იზრდება. ასეთი მცენარეებია: ფიჩხის ლობიო, ხვართქლა, სვია, ველური ვაზი...

ამის შემდეგ ყუთები შერჩეულ



დააკვირდით ამ ნახატს და, თუ თქვენი ბანაკის ახლოს ბუნებრივი საბანაო საშუალება არ მოიპოვება, მოაწყეთ ასეთი ხელოვნური შხაპი.

# გაცუარდეთ ფიზკულტურა!



ლენინს უყვარდა ფიზკულტურის ყოველგვარი სახეობა.

ის ბევრს ვარჯიშობდა, მშვენივრად დასრიალებდა გლუსუნებით, ცურაობდა, აწყობდა შორეულ გასეირნებას ველოსიპედით, როცა სახლგარეშე ცხოვრობდა, ხშირად მთელი დღით მიდიოდა მთებში.

საპატიმროში ყოფნის დროს დიდი მასწავლებელი ლენინი მოკლებული იყო ყოველგვარ ბუნებრივსა და ხელოვნურ იარაღს ფიზკულტურული ვარჯიშობისათვის, მაგრამ მაინც არ ეცემოდა სულით, არ

იგიწყებდა თავის საყვარელ და აუცილებელ საქმეს.

— ჩემი სხეული, ხელები, ფეხები ხომ ჩემს განკარგულებაშია, — ფიქრობდა ილიჩი და ყოველ დღით, როგორც წესი, რამდენიმე წუთის განმავლობაში გიმნასტიკურ ვარჯიშს აკეთებდა.

ფიზკულტურა განა მართო ლენინს უყვარდა?! არა, ის უყვარდათ სულ წინათაც, ახალ წელთაღრიცხვამდე მცხოვრებთ, ცნობილ მოწინავე ერებს — ბერძნებს, რომაე-



ლებს, ის უყვარდათ შემდეგაც... ის უყვართ ახლაც მოწინავე აღამიანებს.

მერედა რატომ იმსახურებს ფიზიკური კულტურა დიდი აღამიანების ასეთ სიყვარულს?

იმიტომ, რომ თვით ეს აღამიანები წარმოადგენენ ჯანსაღი სულის, ნიჭისა და ფიზიკური ძლიერების შეერთებას. თუ აღამიანებს ნიჭი ბუნებით დაჰყვებათ თან, სამაგიეროდ ფიზიკური სიჯანსაღე მათ მეტწილად სისტემატური და სწორი ფიზიკური ვარჯიშის საშუალებით შეუძლიათ მიიპოვონ.

ბავშვები წმირად განსაკუთრებით მოწაფეობის პერიოდში, გატაცებულნი არიან ხოლმე ფიზკულტურის ერთ-ერთი სახეობით, მაგალითად, ფეხბურთით, და ფიქრობენ, რომ ეს სრულიად საკმარისია სხეულის ნორმალურად განვითარებისათვის. მაგრამ ეს სწორი როდია.

ფეხბურთელები, მოჭიდავენი, მძლეონები, მეთხილამურენი და სხვები, უმთავრესად თავიანთ დარგში იწრთვნებიან მაგრამ ყველა სხვა ძირითადი სახის სპორტულ ვარჯიშობასაც ეწევიან, რათა სხე-

ულის სწორად განვითარებას და სრულ ჯანსაღობას მიაღწიონ.

სხეულის ასეთი ჰარმონიული, ყოველმხრივი განვითარებისათვის საჭიროა დაწესებული ნორმები ჩაბარება ნიშანზე „იყავ მზად შრომისა და თავდაცვისათვის“, შემდეგ—ნიშანზე „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის—I საფეხურის“, ბოლოს, ნიშანზე—„მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის II საფეხურის“.

სულ ჩასაბარებელია 11 ნორმა. ხუთი მათგანი—სიჩქარე, მოხერხება, სიმარდე, ამტანობა და გამბედაობა—არჩევითია, ე. ი. ჩაბარებთ იმას, რაც თქვენ მოგწონთ. ყველა დანარჩენი ნორმის ჩაბარება საჭიროა, რადგან ამ ნორმებით გათვალისწინებულია ისეთი ვარჯიშობანი, რომელნიც აუცილებელია სხეულის ჰარმონიული განვითარებისათვის.

აი ახლა ზაფხულია, საშუალება დიდი გაქვთ, გამოიყენეთ ღრო. ივარჯიშეთ! ჩააბარეთ ნორმები! გამაგრდით და გაჯანსაღდით!

გიყვარდეთ ფიზკულტურა ისევე, როგორც ის ლენინს უყვარდა!



## შე ა გ რ ო ვ ე თ ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო მ ც ე ნ ა რ ე ბ ი

ბაც, შეაგროვეთ სამკურნალო მცენარეები!

ვიდრე საქმეს შეუდგებოდეთ, იკითხეთ, თუ რა და რა სამკურნალო მცენარეები მოიძებნება თქვენი დასახელებელი ადგილის მიდამოში.

**დაიხსოვით:** სამკურნალო მცენარე უნდა მოიკრიფოს აუცილებლად კარგ ამინდში და შესაფერის ღროს. დახედეთ ცხრილს:

მცენარის სახელწოდება	რა იპრიზება
სათითურა კრაზანა ოსმალური მიხაკი, ანუ ასისთავა მინდვრის შვიტა	ფოთლები ფოთლები ღეროები ღეროები

არტემიზია  
ცაცხვი  
ყვავისკულა (ათასფოთოლა)  
გვირილა  
ძინდერის მარწყვი  
ჭინჭარი  
გარეული სვია  
ლენცოფა  
შროშანა  
კატაბალახა (ვალერიანი)  
მოცვი  
ასკილი  
გიჟანა (ბელადონა)  
ევკალიპტი  
მინდერის პიტნა  
წყლის მგორვალი  
ტულჭინჭამა  
ანწლი  
მათრობელა  
ჟოლო

ფოთლები და ღეროები  
ყვავილები  
ყვავილები  
ყვავილები  
ნაყოფი  
ფოთლები  
ფოთლები და ღეროები  
ფოთლები  
მცენარე მთლიანად  
ფესვები  
ნაყოფი  
ღეროები  
ყვავილები  
ფოთლები  
ფოთლები  
ღეროები ფოთლებია  
ღეროები ფოთლებით  
ყვავილები  
რქები  
ნაყოფი

მცენარის მიწაში მყოფი ნაწილი: ფესვები, ძირები და თესლი იკრიფება გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ფოთლები და ყვავილები — უმთავრესად ზაფხულში, ნაყოფი და მარცვლეული — სრული მწიფობის პერიოდში.

მოკრეფილი მასალა უნდა გააზმოთ ჩრდილში, უფრო კარგია — სპეციალურად მოწყობილ საშრობ ოთახში. რაც უფრო მოკლე დროში ჩატარდება გაზმობის პროცესი, მით უფრო ხარისხიანი გამოდის მასალა.


ხმობის პროცესის დამთავრება შეამოწმეთ შემდეგნაირად: თუ მცენარის ღეროები, ფესვები, რქები და ძირები ადვილად ტყდებიან ხელში; ფოთლები და ყვავილები იფშვებიან; ნაყოფი ხელის მოჭერისას კანს არ ეწებება და არც ღებავს, — ასეთი მასალა უკვე გამზარია. შეიძლება მისი შეგროვება და შენახვა შშრალ და სუფთა ადგილას.

თვითეული მცენარე ცალ-ცალკე უნდა შეიფუთოს და დაეწეროს სახელწოდება.

სასურველია შეგროვებული, გამზარი და დახარისხებული მასალა მაშინვე ჩააბაროთ დამამზადებელ პუნქტებს ან აფთიაქს.



პატარა თამარს



ილია სომხარი

ჩემო ბიჭუნავ...

ნუთუ ვერ წახვალ,—სააგარაკოდ  
ჩემო ბიჭუნავ, ემზადებიან.  
მერცხლები გულის გამხარებელნი  
შენთვის არასდროს მოფრინდებიან!

ასე მგონია ყოველ მწუხრის ეამს  
აღერსს დედისას ნატრულობ ეგებ,  
სადა ხარ ახლა, ამ მზეს მცხუნვარეს  
პირმცინარ სახეს ვერ შეაგებებ!..

შენი ტოლები ჩემთან მოვლენ და...  
ასე მეტყვიან: „დედი ნუ სტირი  
ის არ მომკვდარა, მუდამ იცოცხლებს  
სამშობლოსათვის დაეცა გმირი!“



შენა ხარ მინდვრის თეთრი ყვავილი,  
თეთრი ყვავილის სიცოცხლის ლხენავ!—  
შეხედე დედას წყაროს თვალივით,  
და მოჭიკჭიკე აიდგი ენა.

შეხედე დედას წყაროს თვალივით,  
მამა ძილისპირს გეტყვის ძველ ზღაპარს...  
ჩაგეძინება ზღაპრულ დალივით,  
და გიწოდებენ პატარა თამარს.

შენ გიწოდებენ სიცოცხლის ლხენას,  
დღეს ბედნიერი ქვეყნის დედები.  
შენ მოჭიკჭიკეს აიდგამ ენას,  
და ჩიტის ბარტყებს მოეფერები...  
მოეფერები ყველა ჩვენიანს,  
ჩვენი სამშობლოს სიცოცხლის ლხენავ!  
მამა მოგიყვანს მტრედებს ფრთებიანს,  
და მოჭიკჭიკეს აიდგამ ენას  
შენ მოჭიკჭიკეს აიდგამ ენას,  
იმღერებ მამის ქართულ შაირებს...  
შენ არ შეგხვდება ქვეყნად მოწყენა,  
შენ მოგართმევინ ფერად ყვავილებს.

შალვა ფორჩხიძე

ყ ა ნ ა ს თ ა ნ

ცვარმა, მწყემსმა და დილის ნიავმა  
შრიალა ყანის ერთგულ სტუმრებმა;  
როგორც მეტყველმა ადამიანმა,  
ასე დამიწყეს გასაუბრება:

„დედა ბუნება წარმტაცად მოჩანს,  
ფრინველთ გალობას ხენიც ისმენენ,  
წუხელ რომ ზეცას ვარსკვლავი  
მოსწყდა,

ეხლა თავთავზე ძინავს, ისვენებს.  
ხვავად, სიმდიდრედ ქცეულა ყანა,  
ადრე მარცვლებად მიმოზნეული,  
დაეკარგება მადლი-ოფლოს განა?  
მოდით და ნახეთ ძვირფასეული,  
დატკბით, რა არის სიუხვისთანა!  
მობრძანდით, გახდით ჩვენი

წვეული!“

შაქრო სამაღაშვილი



# გ ა მ ბ უ ზ ი ა

(ერთმოკმედებიანი პიესა სამ სურათად)

მოკმედნი:

- 1. მამა
- 2. დედა
- 3. შვილი
- 4. კოლო
- 5. ექიმი
- 6. კრუხი
- 7. წიწილები
- 8. ცხენი
- 9. გამბუზია
- 10. იხვი
- 11. ქორი
- 12. შგელი



სცენა წარმოადგენს ეზოს, მოსჩანს ოღა. ეზოს კუთხეში ლაქაშები. გამოდის ბიჭი, თოფი მხარზე გაუდვია, მიდის და მღერის. დედა დგას ოღასთან და უყურებს შვილს.

- შვილი** — (მღერის) თოფი მხარზე გამიდვია, მონადირე ბიჭი ვარ. ჰეი, ჰეი, გაიგონეთ, სანადიროდ მივდივარ!
- დედა** — (გასძახის) ფხიზლად, შვილო, ჭაობისაკენ არ წახვიდე! მანდ კოლოა და ვიკბენს.
- შვილი** — მე კოლოსი არ მეშინია.
- დედა** — უიმე, შვილო! კოლოსი როგორ არ გეშინია? კოლოს მოპრევი არა ვინაა ქვეყანაზე. ვიკბენს და გაგაციებს. მზეზე იყავი შვილო, არ წახვიდე ჭაობისაკენ.
- შვილი** — რატომ დედიკო?
- დედა** — იმიტომ, რომ ციების კოლო ჭაობში ცხოვრობს. მზეზე ფრენა არ უყვარს და ჩრდილს ეტანება, აბა ფრთხილად იყავი, ჩემო ბიჭიო! (შედის სახლში)
- შვილი** — (მიდის და მღერის იმავე ზიმღერას. ამ დროს ლაქაშები იწყებენ მოძრაობას. ბიჭი მიეპარება ლაქაშებს და მოიპარჯვებს თოფს). ეი, ვინა ხარ მანდ? მგელი ხარ, ტურა თუ მელია? გამოდი უნდა გესროლო! (მოძრაობა შესწყდება). მგელიც იყო, ტურაც და მელიც... მაგრამ შეეშინდათ და გაქცენენ... (მობრუნდება და მიდის).
- კოლო** — (გამოვა ლაქაშებიდან. წიწილებიანი კაბა აცვია. მისდევს ბიჭს). რა მსუქანი ბიჭია! გემრიელი სისხლი ექნება. უნდა ვუკბინო. (მეგარდება).
- შვილი** — ეი, რომელი ხარ? მომშორდი, თორემ გესვრი!
- კოლო** — შენი სისხლი უნდა დავლიო!
- შვილი** — გესვრი! (დაუმიზნებს და ესვრის).
- კოლო** — შენ მომერვევი? ჩემი მომრევი არავინაა ქვეყანაზე! (კბენს) ოჰ,



რა გემრიელი სისხლი გქონია? (გაიმართება ბრძოლა. კოლო წაქცევს ბიჭს, დაკბენს და გაეგარდება).

- შვილი** — ვაიმე, დედიკო! მიშველეთ!
- დედა** — (გამოეგარდება სახლიდან) რა იყო, შვილო? რა დაგემართა?
- შვილი** — ციების კოლომ მიკბინა. ვაიმე, დედა!
- დედა** — ვაიმე, შვილო! (მიჰყავს სახლისაკენ. დააწვენს აიფანზე)
- მამა** — (მიდის) რა მოხდა? რა ამბავია?
- დედა** — კოლომ უკბინა. გაიქცევი, ექიმი მოიყვანე!
- მამა** — ექიმი! ექიმი! (გარბის).
- შვილი** — ვაიმე, დედა! მცხელა ვიწვი!
- დედა** — ნუ გეშინია, შვილო. ახლავე ცივ ტილოს დაგადებ შუბლზე. ექიმიც მალე მოვა. (ცივ ტილოს დაადებს თავზე. შემოდინ ექიმი და მამა).
- ექიმი** — აბა, მაჩვენეთ ავადმყოფი! გავუზომოთ სიცხე. (თერმომეტრს გაუკეთებს). ოჰო, 41 გრადუსი სიცხე; ნუ გეშინია, ბიჭიო! აი, ქინაქინა, ღალიე და მორჩები.
- მამა** — რა გვეშველება, ბატონო ექიმო? კიდევ უკბენს კოლო და კიდევ განდება ავად. გავაწვალა ამ კოლომ. რა მოერევა კოლოს?
- ექიმი** — კოლოსაც ყავს მტერი. გამბუზია ერევა კოლოს.
- მამა** — უნდა წავიდე გამბუზიას საქებნელად. ეხე... ხე... გავაწვალა ამ კოლომ... (აიღებს თოფს და შემოივლის სცენას. შეხედება კრუხი წიწილებით).
- კრუხი** — ჯუ... ჯუ... ჯუ... ჯუ... წიწილებო, არ გახვიდე ეზოს გარეთ, ცაში ქორი თუ გამოჩნდა, დედას თავი შეაფარეთ...

წიწილები — ჯუ...ჯუ...ჯუ...ჯუ...

მეგობრებო,  
მოვიყაროთ ყველამ თავი,  
შრომითა და გარჯილობით  
ვექნათ ჩვენი საყენავი.

მგელი — (მეგობრება ცხენს და ეცემა. გაი-  
მართება ბრძოლა. მამა უმიწნებს  
მგელს და ესვრის. მგელი დაეცე-  
მა. მამა გაათრევს) პატ, შე ყაჩა-  
ლო, პატიოსან ცხენს მოერიე?

ცხენი — კეთილო კაცო, რა მოგცე სამა-  
გიერო, მგლისაგან რომ მიხსენი?

მამა — მითხარი, კოლოს მომრევი გამბუ-  
ზია სად ცხოვრობს?

ცხენი — კოლოს მომრევი არავინაა ქვეყა-  
ნაზე. ვერა ხედავ რა მიქნა კო-  
ლომ? მიკბინა და ციება დამმარ-  
თა. ტყუილია, კეთილო კაცო,  
კოლოს ვერავინ მოერიევა. სხვა  
რამე მთხოვე.

მამა — სხვა რა გთხოვო? ჩემი დარდი ეგ  
არის (წასვლაა პარკბ).

ცხენი — მოიცა, კეთილო კაცო, გამიგო-  
ნია, გამბუზია კოლხეთში ცხოვ-  
რობსო. წავიდეთ ერთად (მიდიან).

**სურათი II**

(კოლხეთის არხის სანაპირო)

მამა — აი, მოვედით კოლხეთში. როგორ  
გამოცვილია კოლხეთის! ჭაობები  
დაუშრიათ, რა ბაღები გაუშენე-  
ბიათ. პა...პა...პა... ეს რა არხები  
გაუყვანიათ? ნაპირები მწვანე  
მოლითაა მოსილი და კოლო კი  
არა სჩანს... რა საოცარი ქალ-  
ქია? ეს რა პატარა თევზია, ქინ-  
ძისთავის ტოლა? თევზო, თევზო,  
ქინძის ტოლა! რა მოხდა, აქ  
რომ კოლო არა სჩანს? შენ ისე  
დაძვრები წყალში, თითქოს არც  
კი გეშინია კოლოსი?

გამბუზია — (თავს ამოჰყოფს ნაპირიდან). კო-  
ლოსი უნდა მეშინოდეს? ხა...ხა...  
ხა... კოლოს თვითონ ეშინია ჩემი.

მამა — რას მეზღმრები? კოლოსი ყველას  
ეშინია: ფრინველს, ცხოველს,  
ადამიანს. შენ კი ტრაბახობ: კო-  
ლოსი არ მეშინია... ალბათ, არც  
კი გინახავს კოლო.

გამბუზია — უჰ, არ მინახავს! არ მინახავს კი  
არა ბოლშევიკებმა მე კოლოს საჭ-  
მელად ჩამომიყვანეს იტალიიდან.  
მე ეჭამ კოლოს. კოლოს კვერცხი-  
დან ერბო-კვერცხს ვაკეთებ. ძალ-  
ზე გემრიელია.

მამა — ეხ, ხუმარა ყოფილხარ, ვილაცა  
ხარ! კოლოს შენ მოერიევი? (ჩა-  
მოჯდება განზე).

იხვი — (შემოვა ბაჯბაჯით).  
მე ვარ იხვი ბაჯბაჯა,  
წითელნისკარტიანი  
ჭიაჭუა მატლების  
მტერი მშვიდობიანი.  
დავბაჯბაჯებ მიწაზე,

მიყვარს წყალში თამაში,  
დილიდან საღამომდე  
გართულა ვარ ჭამაში. (ეცემა  
თევზს და უიდა შეჭამოს).

მამა — აქში, იხვო! იქში დიდი ხარ დ  
პატარას მოერიე?

იხვი — შენთვისაა პატარა, თორემ ჩემთ-  
ვის საკმარისია. (გაიქცევა).

გამბუზია — კეთილო კაცო, რა მოგცე სამაგი-  
ერო, იხვისაგან რომ მიხსენი?

მამა — შენ რა ხარ და მე რა უნდა მომ-  
ცე? ქინძისთავის ტოლა ხარ.

გამბუზია — შენ კოლოს მომრევი ეძებ მგონია.  
გინდა დაგეზმარო?

მამა — ვინა ხარ შენ?

გამბუზია — მე გამბუზია ვარ, კოლოს მტერი.

მამა — შენა ხარ გამბუზია? შენი ჭირიმე,  
გამბუზია! მიშველე, გამბუზია!  
წამომყევ, დამეზმარე! კოლოს ვე-  
ომები და ვერ ვაჯობე.

გამბუზია — რადგან სიკვდილისაგან მიხსენი,  
წამოგყვები (მიდიან).

**სურათი III**

იგივე სცენა, რაც I სურათში იყო. ოდის წინ  
აივანზე ლოგინში წევს შვილი, იქვე ფუსფუსებს  
დედა, იქვეა კრუხი თავისი წიწილებით.

მამა — (შემოდინ მამა და ცხენი. ცხენს  
ზურგზე ადგია მათარა, რომელ-  
შიც ზის გამბუზია). მოვიყვანეთ  
გამბუზია. აბა ჩავუშვათ არხსა და  
ტბორებში (ჩასვამს გამბუზიას ლე-  
ლიანში. ამ დროს რამდენიმე კო-  
ლო გამოძვრება).

კოლო — ვაიმე, დავიღუპე! გამბუზია მო-  
სულა... კოლოებო თავს ვუშვე-  
ლოთ! აჰან გაწყვიტა კოლხეთში  
ჩვენი მოღვმა. სულ გადასანსლა  
ჩვენი კვერცხები... გავიქცეთ!..


მამა — (შეამჩნევს კოლოს) ჰაიტ! შე უქ-  
ნარავ! (გაეკიდება).

ყველანი — (ერთხმად, ყოყინით დაედგნებიან  
გაქცეულ კოლოებს. შემდეგ მზია-  
რული ხმაურით ბრუნდებიან სცენა-  
ნაზე. კრუხი წიწილებით, იხვი,  
ცხენი, დედა, შვილი, მამა, ექიმი  
და გამბუზია აკეთებენ წრეს და  
მღერაან ერთად).

(ფარდა)



# რუსი ხალხის დიდი პოეტო



იაროსლავლის ოლქში არის რუსი ადამიანისათვის ერთი მეტად ძვირფასი ადგილი— სოფელი გრემნიოვო. 1821 წელს აქ დაიბადა რუსული პოეზიის მშვენიერება — ნიკოლოზ ნეკრასოვი. გრემნიოვოზე გადიოდა ციმბირიაკენ მიმავალი დიდი გზა—ვლადიმირკა. ამ გზის პირას იდგა ნიკოლოზის მამის—მეამბულე ალექსი ნეკრასოვის სახლი. პატარა ნიკოლოზს ხშირად დაუნახავს, თუ როგორ მიბიჯებდნენ ამ გზაზე გაციმბირებული რევოლუციონერები, ხშირად გაუგონია მათი ბორკილების გულსმომკვლევი ჩხარუნი, მოუსმენია მათი მწარე ამოხვრა, შეუმჩნევია ცრემლიანი მათი თვალები.

იქვე, სახლის მახლობლად, გორაკს ქვემოთ, ზანტად მიედინება ზღვასავით წყალუხვი და ვრცელი მდინარე ვოლგა. ბევრჯერ უნახავთ პატარა ნიკოლოზი ბექობზე გადამდგარი. ოცნებით გართული ის გაჰყურებდა მზეზე სარკესავით მოლაპლავე ვოლგის ზედაპირს, ნელა მოძრავ გემებს, კარჭაპებს, ტივებს. ზოგჯერ ბავშვს სული წასძლედა, თავის ტოლბიჭებთან ერთად შეახტებოდა მებაღურთა მიტოვებულ ნაყბს, მიცურდებოდა კუნძულზე, თოვით ხელში დასდევდა ან უთვალთვალებდა ტყის ფრინველს და დაბინდებისას შინ ბრუნდებოდა ნახადირევით—როჭოთი, ტყის ქათმით ან გნოლით. უფრო ხშირად ნიკოლოზს ხედავდნენ მდინარის პირად მოფუსფუსე ხალხში. ის დიდხანს უმზერდა ჯამბარაში შებმულ მუშა-გლეხკაცებს—ბურლაკებს, რომლებიც ჭაპანწყვეტით ნაპირისაკენ მოათრევდნენ დატვირთულ კარჭაპებს. ავირდებოდა ქარისა და სიცხისაგან დამწვარ, ჯაფისა და დარღისაგან დაღარულ მათ სახეება, ვულში სწვდებოდა მათი სიმღერა—სევდიანი ძლიერი და ლალი „დუბინუშკა“, ხოლო ბურლაკთა ნადვლიანი ამოხვრა ისე აფორიაქებდა ბავშვის გოლსა და გონებას, რომ ცრემლებს ვერ იკავებდა, ცდილობდა

მოშორებოდა მათ, გაქცეულიყო, მაგრამ არა საკუთარ სახლში.

შინ პატარა ნიკოლოზს არ მიუხაროდა: იქ ეგულებოდა გოროზი მამა, ყმების მრისხანე ბატონი, რომელსაც მუდამ პირზე ეკერა—გაროზგეთ, გაწეპლეთ, გააციმბირეთ ეგ არამზადა გლეხებო. ნიკოლოზ ნეკრასოვს მთელი თავისი არსებით უყვარდა დედა და, როცა მამა ანადიროდ ან სადმე სტუმრად წავიდოდა, მთელს დღეებს განუშორებლად დედასთან ატარებდა. გატაცებით ყურს უგდებდა მისგან მოყოლილ ზღაპრებსა და თქმულებებს, მარტივად და გასაგებად ნაამბობ შექსპირის ტრაგედიებს, დანტეა და მილტონის უკვდავ ქმნილებათა შინაარსს.

რვა წლის ნიკოლოზი მოაშორეს დედის კალთას, ტოლამხანაგებს და იაროსლავლის გიმნაზიაში მიაბარეს. რამდენიმე წელს დაჰყო იქ ყმაწვილმა ნეკრასოვმა, მაგრამ სკოლას მისთვის არაფერი მიუცია. უხეშმა, უმეცარმა, ურთიერთშორის მოკინკლავე მასწავლებლებმა არათუ შეაყვარეს, არამედ გული აუტრუეს სწავლაზე ახალგაზრდას. განრისხებულმა მამამ შვილს აკოლა მიატოვებინა და პეტერბურგს გაგზავნა სამხედრო სასწავლებელში. მაგრამ ოფიცრობა არ აზიდავდა ჭაბუკს. მას უნდოდა და დედაც ამას ურჩევდა — მიეღო ისეთი განათლება, შეეძინა ისეთი ცოდნა, ხალხს რომ გამოადგიბოდა. და ნიკოლოზი შევიდა უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად.



ბუკისციხეს ბუკი დაჰკრეს,  
წყალზე გადაეს ფიცარი,  
დაერიენ ფესვიანებს\*\*  
შეუყენეს სისხლის ღვარი,  
ცოტა იყო ჩვენი ჯარი,  
ჰაგრამ ყველა მკლავმაგარი.

(ხალხური)

შენ ბუკისციხევე, ლამაზო,  
პირმოძვინარევე, მზიანო,  
შენ მშობლიურო სოფელო,  
გულლიავ, ხალისიანო,  
მინდა შეგამკო... ვაითუ,  
ვერ შევძლო, დაგზიანო!  
რა იყავ წინათ, ავსახო,  
საქმე არ არის ადვილი,  
შენს სამაყო წარსულთან  
გვაშორებს დროის მანძილი,  
ერის სიცოცხლის, ღირსების  
გულშაგი იყავ ნამდვილი,  
რომ ჰხურებოდათ ვაჟკაცებს  
ქუდი და ქალებს — მანდილი!

მთებს შუა უდევ დარაჯად  
მშობლიურ ქვეყნის კერასა,  
რომ შემოსეულ მტრებისთვის  
კარები გადაგერაზა,  
მიტომაც ცოფმორეულნი  
ვერას გაკლებდნენ, ვერასა!  
მთასა და ბარში გაჰქუხდა  
შენი ბუკი და ნალარა,  
შენი ქედების გულშეკერი  
მტრის სისხლმა ბევრჯერ დალარა,  
გურის ტბას\*\*\* წითლად ჰღებავდა  
სისხლი მთით ჩამონადენი!  
რამდენი გმირი გეყოლია?!  
დღესაც გმირი გეყავს რამდენი?!!!

ბუკისციხე სოფელია აღმოსავლეთ გურიისში, ჩოხატაურის რაიონში. იგი გაშენებულია მდინარე სუფსის მარჯვენა ნაპირზე. სურების ხეობის დასაწყისში. სოფელს მეტად ლამაზი მდებარეობა აქვს. მდინარე სუფსისა და სურების ხეობის შესაწებ ვკითხულობთ ვახუშტის გეოგრაფიაში: „ჯუმათის მთის სამხრით დის მდინარე სუფსეი, გამომდინარე სამცხე — გურიის შუას მთისა, მომდინარე ბაზვის წყლამდე ჩრდილო-დასავლეთს შუა, ბაზვის წყლიდან ზღვამდე აღმოსავლეთიდან დასავლეთად და მიერთვის ზღვას აღმოსავლეთიდან. არს მდინარე კარგი და თევზიანი. ბაზვის წყლის შესართავს ზეით არს ციხე ბერიძისა. სამხრითვე მას ზეით ხეობა სურები ვენახ—ხილიანი, მოსავლიანი, მოსახლენი მზნენი“ (ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 175, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბი: ლისი, 1941 წელი.)

აღმოსავლეთით სოფელ ბუკისციხეს საზღვრავს სოფელი შამანაური. დასავლეთით—დაბლაციხე, ჩრდილოეთით—ნაჯიურალის ქედის გაგრძელება, ხოლო სამხრეთით სურების ხეობიდან მდინარე სუფსა ჩამოედის.

სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში არის მაღალი ბორცვი, რომელზეც აშენებულია ციხე, ბუკისციხედ წოდებული, რომლისაგანაც სოფელს შერქმევია სახელწოდება. ბუკისციხე იმითმ ეწოდება ამ ციხეს, რომ წინათ, ისტორიულ წარსულში, როდესაც ოსმალეთი თავს ესხმოდა დასავლეთ საქართველოს (გურია არაერთგზის ყოფილა ოსმალეთის მხრივ თავდასხმისა და დარბევის ობიექტი), აი აქედან, სურების ხეობიდანაც გადმოდიოდნენ ოსმალები გურიისში; ეს ციხე მაშინ, სურების ხეობის შესართავთან საგულშეკეო პუნქტი ყოფილა, საიდანაც ხალხს მტრის მოახლოების საფრთხეს ბუკის კერით აცნობებდნენ და მეომრებს მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდნენ.

\*\* „ფესვიანებს“ ანუ „ფესვიანებს“ ოსმალებს უწოდებდნენ რადგანაც ისინი წითელ ქუდს „ფესს“ ატარებდნენ.

\*\*\* გურის ტბა — გურიის ტბას ეწოდება სოფელ ბუკისციხესთან ჩამომდინარე სუფსის იმ ადგილს, სადაც იგი კლდოვან ნაპირებში ტბასავით გაწოლილა სოფელ იანეულსა და ბუკისციხეს შუა.

# შვლები



(სურათი)

მარტო მივდიოდი უზარმაზარი წიფლებით თალშეკრულ ტყეში.

თუმცა შუაღლე იყო და ივნისის მზე თავისი ჭარბი სიცხოვლით დასდგომოდა ქვეყანას, მაინც ტყეში საგრძნობი სიგრილე იდგა და ნიადაგი რბილი და ქაობიანი იყო.

მივდიოდი ფიქრებში გართული და უცბად პატარა ზარის წყარაწყური მომესმა.

გამოვერკვიე ფიქრებიდან. გავიხედე და, ვხედავ, რომ ჩემს ცოტა მოშორებით ტყეში ოცდაათამდე ხბო დასეირნობს არხეივანად.

შევჩერდი. მინდა მწყემსს დაეუძახო, აქ არიან ხბორები მეთქი, მაგრამ ვერ გამომიცვნია, ხბორები არიან თუ კვიციები. არც ხბორებსა ჰგვანან, არც კვიციებს, ამავე დროს ხბორებსაც ჰგვანან და კვიციებსაც.

— „უეჭველად ხბორები არიან“, ვფიქრობ და კიდევ ვემზადებო დასაძახებლად. მაგრამ მაინც კიდევ რალაცა მაკაეებს. კიდევ ვაკვირდები და ორად იყოფა გოლი: ერთი გული მეუბნება ხბორები არიანო, მეორე — კვიციებიო. თვითონ კი არც ერთს ვუჯერებ, არც მეორეს—ხანაც ვამტყუნებ ჩემს თავს: ან ერთია, ან მეორე, მით უმეტეს, რომ ერთ მათგანს ზარი აბია ყელზე მეთქი.

მათ დამინახეს და გაკვირვებულები შედგნენ.

დიდხანს ვუყურეთ ერთმანეთს გაკვირვებით. იმათაც უკვირდათ ჩემი ნახვა და მეც მიკვირდა ეს უცნაური ხბორები. იმათ უკვირდათ იმიტომ, რომ უცხო ვიყავი. საქონელიც სცნობს თავისიანს. ჰახლობელს და უცხო ადამიანს უფრთხის.

მწყემსის სახელი არ აცოდი და დაეუძახე:

— მეძროხე!

ჩემს დაძახილზე ხბორები უცბად გაიქცნენ და დავინახე, რომ მათ არც ხბოს კულები ჰქონდათ, არც კვიცისა.

მეძროხემ ხმა მომცა.

— აქეთ! აქეთ! აქ არიან ხბორები!

მწყემსი წამოვიდა.

მოვუტადე, რადგან მინდოდა გამომერკვია სინამდვილე.

— აქეთ! აქეთ!—ვეძახდი მწყემსსა და იგი ჩემს ხმაზე მოვიდა ჩემთან.

— სად არიან?—მკითხა მან.

— აქ იყვნენ, კაცო. ერთს ზარი ება ყელზე. რომ დაგიძახე, დაფრთხნენ და არ ვიცი საით წავიდნენ.

მწყემსმა ჩაიცივნა და მითხრა:

— ეგენი, ხბორები კი არა, შვლები არიან.

— შვლები?!

— ჰო, შვლები არიან.

— მერე, ვინ შეაბა შვლებს ყელზე ზარი?

— ძროხა რო ამოვლალეთ აპრილში — რაიწყო მეძროხემ — მაყილის ბარდში შვლის ერთი წაწალა დავიჭირეთ, ბინაზე ერთ ფურს შევაჩვიეთ და სწოვდა. ძალიან შეგვიყვარდა. ზარი შევაბით ყელზე და როცა წამოიზარდა, ისე შეგვეჩვივა, რომ კარგა ხანა არა გვშორდებოდა. სალამოთი ძროხას რომ მოვრეკდით ბინაზე, შეუჯდებოდა ხოლმე ფურსა და გამოსწოვდა. კარგა რომ გაიზარდა, უეცრად გაქრა. ერთი კვირის შემდეგ შვლების ჯოგში ვნახეთ თავისი ზარით. ეგე მაგრე დაუძღვის შვლებსა და ხანდახან შიგ ბინაშიც მოგვირეკავს ხოლმე...

— ჰოო, ახლა გასაგებია,—ვთქვი კმაყოფილებით.

მე და მწყემსი ისევ დავშორდით ერთმანეთს.

წიფლის ტყეს რომ გავცდი უცბად ისევ წავაწყდი ჩემთვის გამოუცნობ ცხოველებს.

რა მშვენიერი და რა საყვარელი ცხოველია შველი!

ი. მხედლიძე

# ჩემი სიმღერა

ეს ჩემი სიმღერა, შვილო ჩემო, საკუთარი მუსიკის უნაზეს ფრთებზედ შემოგვევლება გარს და სიყვარულით ჩაგვხვევა!..

ეს ჩემი სიმღერა შენი საცოცხლის მავედრებელ ლოცვად იქცევა და სასოებით ეამბორობა შენს შუბლს!

და როცა შენ მარტოდმარტო დარჩები,—ის მუდამ შენთან იქნება!..

შენს გვერდით!..

და ყურში გიჩურჩულებს!..

როცა ბრბოში მოხვდები,—შეუვალ ციხეგალაგნად შემოგერთყმის გარს!..

ჩემი სიმღერა უძლეველ ფრთებად გამოებმება შენს სიზმრებსა და უხილავი ქვეყნის საზღვრებისაკენ გააფრენს შენს გულს!..

როცა შენს სავალ გზაზე ჩამოწვება შავი ღამე,—ის ერთგულ ვარსკვლავივით ინათებს შენს თავზე!

ჩემი სიმღერა შეიჭრება შენი თვალების გუგებში, რათა ადვილად დაინახო საგანთა გული!..

და როცა სიკვდილი სამუდამოდ ჩაჰკეტავს ჩემს ბაგეს,—მაშინ იგი სიცოცხლით სავსე შენს გულში ანმაურდება!..



# მსაჯული

ილაპარაკეთ რამდენიც გნებავთ!..

და რაცა გსურთ, ისა სთქვით ჩემს ბავშვზე,—მაგრამ შე თქვენზე უკეთ ვიცი მისი ნაკლოვანებანი!..

მე მიყვარს ის არა იმიტომ, რომ კარგია, არამედ იმიტომ, რომ შვილია ჩემი!..

როგორ შეიძლება იცოდეთ, თუ რამდენად ძვირფასია ის ჩემთვის, როცა თქვენ სასწორზე აგდებთ მას და ისე მსჯელობთ მის ღირსება - ნაკლოვანებაზე?!

როცა მე იძულებული ვარ დავსაჯო ჩემი შვილი,—იმ დროს ის კიდევ უფრო განუყრელი ნაწილი ხდება ჩემი არსების!..

და როცა მე ვიწვევ მის ცრემლებს,—გული ჩემი ქვითინებს მასთან ერთად!..

მარტო მე მაქვს უფლება მსჯავრი დავდო...

და დავსაჯო ის!..

რადგან დასჯის უფლება მხოლოდ იმას აქვს,—ვისაც უყვარს!..


თარგმანი ლავრენტი ძიძიგურისა



# ოქროსა და რკინის დავა

ერთხელ შადალ მთების გულში,  
სადაც სჭრიან ქვას და ლოდებს,  
საიდანაც უხვად ვიღებთ  
რკინისა და ოქროს ზოდებს,  
თურმე ისე ეკამთა  
ლამაზ ოქროს შავი რკინა,  
რომ მას შემდეგ ბრწყინვალეობას  
გულში ეჭვი გაუჩინა.  
ოქრომ უთხრა უხეშ რკინას,  
შავ მკერდზე რომ ქანგი გათოვს:—  
— ძლიერ მიკვირს, ასეთ უშნოს,  
უხეიროს, ულანათოს,  
რად გთვლის კაცი ლითონებში,  
რად გიწოდებს ასეთ სახელს,  
გულზე ჯავრი მოაწვება  
ჩემს მახლობლად შენსა მნახველს!  
მას კი, ვინც მე შემომხედავს  
გულს სიამე ეფინება,  
დიადი მზეც ჩემებ ბრწყინავს,  
ოქროსფერი ცეცხლით დნება...  
სად არ მნახავს კაცის თვალი,  
სად არა მაქვს მყუდრო ბინა, —  
თეთრმარმარა ყელ-კისერი  
ღმერთმა ჩემთვის გააჩინა.  
თეთრ ბროლივით დათლილ თითებს  
ვამშვენებ და ვალამაზებ,  
ააწაწინა ბიბილოტებს  
ცის ნინველას დავამსგავსებ.  
თბილი სუნთქვით ანათროლი  
თვალწარმტაცი მკერდს ქალის,  
ფიანდაზად მეფინება,  
როგორც ნაზი სასთუმალი.  
სიფრიფანა ქალის ყურებს  
მინანქროვან ვარდად ვსახავ,  
აღვიტაცებ ადამიანს,  
თუ რომ შუბლზეც დამინახავს!  
მამ გაჩუმიდი, ნურას იტყვი,  
მოიხარე ჩემს წინ ქედი,  
უხეში ხარ, შეიგენი,  
ასეთია შენი ბედი.  
გულჩათხრობით მოუსმინა  
შავმა რკინამ ოქროს წკრიალს,  
თვალსაც კი ვერ უსწორებდა  
მზიურ ფერთა ლამაზ ციალს.  
მაგრამ მაინც დინჯად, წყნარად,  
მისთვის ჩვეულ მძიმე ენით,  
საპასუხო სიტყვა უთხრა,  
საამურად მოსასმენი: —

— ლამაზი ხარ, მშვენიერი,  
მაგრამ მაინც თავს ნუ გახვალ,  
რადგან, თუმცა ამკობ გულმკერდს,  
ყურებს, თითებს და შუბლს მაღალს,  
მაინც მიკვირს რად ზვიადობ,  
რად ამაყობ მეტისმეტად,  
როს ბუნებამ შენთვის მხოლოდ  
ბრწყინვალეობა გაიმეტა?!  
ის მაჯა და ის თითები  
უფრო მძლავრი არა ხდება,  
გულს, რომელსაც შენ ამშვენებ,  
სინდისი არ ემატება.  
ყურთ შემკობილთ ვერ შეჰმატებ  
სამენასა და გაგონებას,  
ვერც ლამაზ შუბლს ჩაუნერგავ  
ქკუასა და ღრმა გონებას.  
მე კი მხოლოდ ერთი ნემსით,  
ამ პატარა იარაღით,  
რასაც მოვჭიხავ და შეეყვარე  
ყველგან ვიტყვი სიამაყით...  
გუთანიც ხომ რკინისაა  
ველ-მინდორზე მიწის მხენელი,  
თუნდ ნამგალი, ძველთაგანვე  
მთელი ქვეყნის შემნახველი...  
ვინ დასთვალოს ჩაქუჩები,  
ბურღები და გრდემლი მძიმე,  
მშრომელ ხალხს რომ უმატებენ  
დაუშრეტელ ძალას, იმედს.  
ნამგლით, ხერხით, ხელჩოთი,  
გუთნითა და მჭრელი ცულით  
პატიოსან ადამიანს  
შვენის შრომა ვაყვაცური.  
ალიმართა მისი მხრები,  
აშენებს და ცის თალამდეც  
რაც ვერ შესძლო მკლავის ძალამ,  
შეჰქმნა ჩემის დახმარებით.  
მზე ბრწყინავს და სითბოს გვაწვდის,  
მთვარის შუქი გვაფრქვევს ნათელს,  
ვარსკვლავიც კი გზას გვიკაფავს,  
ბნელ ღამეში თვალს რომ ახელს.  
შენ კი ცივი ბრწყინვალეობით  
დაგაპყრია მთა და ბარი,  
ჩემს ღირსებას ვერა ხედავ —  
ეს არ არის დასაფარო...  
ოქროს შერაცხვა, მართალ სიტყვამ  
გულში ეჭვი ჩაუწვეთა,  
დაღუმდა და იმის შემდეგ  
შავ რკინის ფასს ისიც ხედავს.





# უჩინარი სამყარო

(წერილი მეოთხე \*)

როგორ არის აგებული ატომი? როგორ არიან განლაგებული ატომში დადები-  
თად და უარყოფითად დამუხტული წილაკები? როგორ უნდა გამოირკვეს ატომის  
აგებულება? — ასეთი თავსამტვრევი საკითხები დაისვა მეცნიერთა წინაშე, როცა მათ  
უდავოდ დაადგინეს ატომის რეალური არსებობა, მისი რთული აგებულება და გა-  
ყოფადობა.

ატომი რომ ხილვადი ყოფილიყო ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, შესაძლებელია  
ყოფილიყო მისი დანახვა მეტად გამაძლიერებელი მიკროსკოპით, ამოცანა შედარებით  
იოლად გადაიჭრებოდა. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ატომი არაჩვეულებრივად მცირე  
ზომისაა, იგი უჩინარია. მაგალითად, გამორკვეულია, რომ ერთ კუბურ სანტიმეტრ  
რკინაში 85.000.000.000.000.000.000 (85 ათასი ტრილიონი) ატომია. ადვილი  
წარმოსადგენია, თუ რამდენად მცირე ზომისაა რკინის თვითეული ატომი.

რეზერფორდმა ხელი მოჰკიდა ატომის აგებულების გამორკვევის თითქოს უიმედო  
საქმეს.

მან გადასწყვიტა ატომის აგებულების გამოსარკვევად გამოეყენებინა ატომის  
უკვე ცნობილი აგურაკები — ეგრეთწოდებული ალფა-წილაკები. ეს წილაკები ატომ-  
გულიდან ამოტყორცნისას 20.000 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობენ. რეზერფორ-  
დმა შენიშნა, რომ ჰაერში ან რომელიმე გაზში ალფა-წილაკები გაივლიან გარკვეულ  
მანძილს, შემდეგ მათი მოძრაობა თანდათან სუსტდება გაზის მოლეკულებთან (მო-  
ლეკულს მეცნიერები უწოდებენ სულ ცოტა ორი ერთგვაროვანი ან სხვადასხვაგვარ-  
ოვანი ატომისაგან შემდგარ წილაკს) დაჯახებისას და ბოლოს, შეუჩინეველი ხდება.  
ალფა-წილაკების გარბენის მანძილს რეზერფორდი შემდეგნაირად არკვედა.

ალფა-წილაკების მოძრაობის გზაზე ის ათავსებდა გოგირდოვანი თუთიით და-  
ფარულ ეკრანს. როცა ალფა-წილაკი ასეთ ეკრანს ეჯახება, დაჯახების ადგილას  
თითქოს ნაპერწკალი გაიფრქვება. რეზერფორდი თანდათანობით აღიღებდა მანძილს  
ეკრანსა და ალფა-წილაკების გამომსხივებელ რადიოაქტიურ ნივთიერებას შორის  
და ამგვარად არკვედა, თუ რა მანძილზე წყდება ნაპერწკლების გაჩენა. რეზერფორ-  
დმა შენიშნა, რომ გაზის მილიონობით მოლეკულთან დაჯახების მიუხედავად, ალფა-  
წილაკები ისე მოძრაობდნენ გაზში, თითქოს სიკალიერეში. გაზი კი მოლეკულებისა-  
გან შესდგება, მოლეკულები კი თავის მხრივ, ატომებისაგან შესდგებიან. გამოდის,  
რომ ალფა-წილაკები თავისუფლად გადიან ატომებში, ე. ი. ატომები არ წარმოად-  
გენენ განუშტევ მყარ სხეულებს.

ამ ცდებს რეზერფორდი ატარებდა 35 წლის წინათ, 1911 წელს. შემდეგმა,  
1912 წელმა. რეზერფორდს ახალი წარმატებანი მოუტანა უჩინარი სამყაროს შეს-  
წავლის საქმეში.

ალფა-წილაკების მოძრაობის გზის შესასწავლად რეზერფორდმა გამოიყენა ეგ-  
რეთწოდებული ვილსონის კამერა, რომელიც შეიცავდა ნაჯერი წყლის ორთქლს.  
ალფა-წილაკი თავისი მოძრაობის გზაზე ორთქლს წყლად აქცევს და ამგვარად უკან

\* გაგრძელება — იხ. ჟურნ. „პიონერი“ 1945 წლის №№ 6, 10 და 11.

ტოვებს ნისლის ზოლს, რომელიც წამიერად ელექტრონაპერწყლით განათებული, ფოტოგრაფიულ ფირფიტაზე აღიბეჭდება. ამგვარი უამრავი ფოტოსურათის საშუალებით გამოირკვა, რომ ალფა-წილაკების გზა, მეტწილად, სწორხაზოვანია, როგორც ეს ჩვენ მიერ აქ მოყვანილ ნახატზე სჩანს, მხოლოდ ზოგჯერ წარმოადგენს ოდნავ ტეხილ ხაზს და კიდევ უფრო იშვიათად—90 და მეტი გრადუსით იცვლის მიმართულებას.

აქედან დასკვნა: ატომები, რომლებიც გზაზე ხედებიან ალფა-წილაკებს, თითქო სიცილიერეს წარმოადგენენ, ალფა-წილაკები მათში თავისუფლად გადიან. გადახრა სწორხაზოვანი გზიდან კი იმით უნდა აიხსნას, რომ ისინი ეჯახებიან ისეთივე ნიშნის ელექტრობით—ე. ი. დადებითად დამუხტულ წილაკს, როგორც ალფა-წილაკი დადებითად დამუხტული არიან ალფა-წილაკები (როგორც ცნობილია, ერთგვაროვნად დამუხტული წილაკები ერთმანეთისაგან განიბიძგებიან). რაც უფრო ახლო გაივლის ალფა-წილაკი ასეთ დადებითად დამუხტულ წილაკთან, მით უფრო განიბიძგება იგი და უფრო ძლიერად გადაუხვევს სწორი გზიდან.

ამნაირად რეზერფორდმა დაამტკიცა, რომ ატომი, გარდა ელექტრონებისა, შეიცავს დადებითად დამუხტულ ნაწილს, რომელსაც მან ბირთვი უწოდა (ჩვენ, ჩვეულებრივად, მას ატომგულს ვუწოდებთ).

თავისი გამოკვლევების საფუძველზე რეზერფორდმა მოგვცა ატომის აგებულების ასეთი სურათი:

ატომი წარმოადგენს მზისდაგვარ სისტემას, მხოლოდ ძლიერ მცირეს. მზის როლს ატომის სამყაროში ასრულებს ატომგული, პლანეტებისას კი—ელექტრონები. გულდასმით შესწავლის მეოხებით გამოირკვა, რომ ატომგულში თავმოყრილია ატომის მთელი მასა, ატომის მთელი მატერია. უკანასკნელის წილად მოდის ატომის 99% ნაწილი, დანარჩენი ერთი მეათასედი კი—ელექტრონების წილად მოდის.

მიუხედავად ამისა, ატომგულს, მთელი ატომის სიდიდესთან შედარებით, ძლიერ მცირე მოცულობად უკავია. ეს იმის მაჩვენებელია, თუ როგორ შემკვრივებულია მატერია ატომგულში.

ელექტრონები, რომლებიც ატომგულის გარშემო მოძრაობენ, უარყოფითადაა დამუხტული და კიდევ უფრო პატარა ზომისა არიან, ვიდრე ატომგული. ელექტრონის მასა 2000-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ყველაზე მარტივი და მსუბუქი ატომის—წყალბადის ატომის ბირთვის მასა.

\* \* \*

ამ ცდებიდან და მიღებული შედეგებიდან ნათელი ხდებოდა, რომ რადიოაქტიური გამოსხივების წყარო არა მთლიანად ატომი, არამედ მისი ატომგული. მაშასადამე, ატომგული ყოფილა რთული აგებულებისა.


1919 წელს რეზერფორდმა სცადა ატომგულის ხელოვნურად დაშლა. „უშუაარებად“ მან ალფა-წილაკები გამოიყენა. შედეგები განსაცვიფრებელი აღმოჩნდა.

აზოტის ატომების დაყუშვებისას აღმოჩენილ იქნა ატომგულის შემადგენელი ახალი ატომი, რომლის მასა წყალბადის ატომის მასას უახლოვდებოდა და რომელიც დადებითად დამუხტული აღმოჩნდა. მას პროტონი უწოდეს. გამოირკვა, რომ ალფა-წილაკის მასა დაახლოებით ერთიოთხედ აღემატება პროტონის მასას და ზუსტად ოთხჯერ მეტი დადებითი მუხტი აქვს, ვიდრე პროტონს.

რეზერფორდმა გამოსთქვა აზრი, რომ ატომგული უნდა შეიცავდეს პროტონის მასის მქონე კიდევ ერთ უცნობ წილაკს, მაგრამ უმუხტოს. გავიდა ათიოდე წელი და ეს წილაკი მართლაც იქნა აღმოჩენილი.

მაღე იპოვნეს ეს კიდევ ერთი უცნობი წილაკი, ისეთივე მასის მქონე, როგორც ელექტრონის აქვს, მაგრამ დადებითად დამუხტული. მას პოზიტრონი უწოდეს.

აი დღემდე რეალურად აღმოჩენილი და შესწავლილი ატომის შემადგენელი ელემენტარული წილაკები: პროტონი და ნეიტრონი, მასით თანატოლნი, მაგრამ ერთი (პროტონი)—დადებითად დამუხტული, მეორე (ნეიტრონი) უმუხტო; ელექტრონი და პოზიტრონი, მასით თანატოლნი, მაგრამ ერთი (ელექტრონი)—უარყოფითად დამუხტული, მეორე (პოზიტრონი)—დადებითად დამუხტული.



ალფა-წილაკების გზა



ამჟამად საყოველთაოდ მიღებულად ითვლება რუსი მეცნიერის ივანენკოს მიერ თხუთმეტობედ წლის წინათ გამოთქმული აზრი, რომ ატომგულები აგებულია პროტონებისა და ნეიტრონებისაგან.



დმიტრი ივანეს-ძე მენდელეევი

გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოჩენილმა რუსმა ქიმიკოსმა დიმიტრი ივანეს-ძე მენდელეევმა გარკვეული წესით დაალაგა მის დროს ცნობილი 52 ელემენტი. ზოგ ნივთიერებათა შორის მან თავისუფალი ადგილები დასტოვა. ეს ნიშნავდა, რომ ეს ნივთიერებანი ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი. შემდეგში ყველა ისინი მართლაც აღმოაჩინეს. ელემენტების ამგვარად დალაგების დროს მენდელეევმა ბევრი მათგანის ატომური წონა გაასწორა, რადგან ძირითადი, რითაც იგი ხელმძღვანელობდა, იყო ელემენტების ქიმიურ თვისებათა მსგავსება. მან შენიშნა, რომ ელემენტების თვისებანი გარკვეული წესით მეორდებიან. ამგვარად დალაგებული ელემენტები მენდელეევმა დანომრა. ამჟამად გამორკვეულია, რომ არსებობს 92 სხვადასხვაგვარი ნივთიერება. ყველაზე მსუბუქს ელემენტთა იჭკრივში — წყალბადს — პირველი ადგილი უკავია. ყველაზე მძიმეს — ურანს — უკანასკნელი, ოთხმოცდაშვიტორმეტე ადგილი. მენდელეევის მიერ ელემენტების ამ დალაგებას მენდელეევის პერიოდული სისტემა ეწოდება.

ატომის აგებულების შესწავლამ ნათელჰყო, რომ რიგობრივი ნომრები მარტო ელემენტის ადგილმდებარეობის მაჩვენებელი ციფრი როდია, არამედ მას უფრო ღრმა მნიშვნელობა აქვს: იგი უჩვენებს რაჰდენი უარყოფითი და რამდენი დადებითი მუხტია ამა თუ იმ ნივთიერების ატომში.

წყალბადის ატომი ყველაზე მარტივად აგებული ატომია, ერთადერთი პროტონის გარშემო მოძრაობს ერთადერთი ელექტრონი. პროტონის დადებითი მუხტი და ელექტრონის უარყოფითი მუხტი ერთმანეთს აწონასწორებენ. ამიტომ ატომი ელექტრულად ნეიტრალურია. ურანის რიგობრივი ნომერია 92. მაშასადამე, ურანის ატომგულის გარშემო მოძრაობს 92 ელექტრონი. წონასწორობისათვის ურანის ატომგული უნდა შეიცავდეს 92 დადებითად დაუხტულ წილაკს. დადებითი მუხტი აქვს, როგორც ვიცით, პროტონებს. 92 ელექტრონის უარყოფითი მუხტის გასანიტრალებლად საჭიროა 92 პროტონი. მაგრამ მაშინ ურანის ატომწონა უნდა ყოფილიყო 92, ნამდვილად კი 238-ია. ურანის ატომგულის მასის დანარჩენი წილი მოდის ნეიტრონებზე, რომლებსაც მუხტი არა აქვთ. მასა კი პროტონის ტოლი აქვთ.

ამგვარად, უკანასკნელი წლების აღმოჩენებმა სულ უბრალოდ ახსნეს მენდელეევის პერიოდულ ცხრილში ელემენტების განლაგება: ყოველი ელემენტი ხვდება იმ უჯრედში, რომლის ნომერი უდრის ატომგულის მუხტთა რაოდენობას ანუ, რაც იგივეა, ატომის გარესფეროში ელექტრონების რაოდენობას.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ ამ ბოლო ხანებში გამოირკვა. მენდელეევის დროს კი არათუ ატომის რთულ აღნაგობას, ზოგიერთი მეცნიერი თვით არაღიარებულ არსებობას უარყოფდა. საჭირო იყო მენდელეევის გენიალობა, მისი შორსმჭვრეტელობა, საუკუნეების მანძილზე ქიმიის დარგში დავროვებული მთელი გამოცდილების ღრმად ცოდნა, ბუნების იმ შესანიშნავი კანონის აღმოჩენისათვის, რომელსაც ახლა „მენდელეევის კანონს“ უწოდებენ.

მუშათა კლასის დიდმა მასწავლებელმა — კარლ მარქსის მეგობარმა და თანამებრძოლმა ფრიდრიხ ენგელსმა მენდელეევის აღმოჩენას „მეცნიერული გმირობა“ უწოდა.

მენდელეევის კანონი ის მკვიდრი საძირკველია, რომელსაც ეყრდნობა მთელი ბუმბერაზული შენობა მოძღვრებისა ნივთიერების აგებულების შესახებ.



# ძველი სამეგრეოს

## შვიდი საოკრიბა

### V. სემირამიდას ბაღები

„სემირამიდას დაკიდებული ბაღების“ სახელწოდებით ცნობილია ბაგილო-ნიის ლეგენდარული დედოფლის სემირამიდას სახელთან დაკავშირებული ხელოვნური ბაღები.



აბილონიის ლეგენდარულმა დედოფალმა სემირამიდამ ააშენა ქალაქი ბაბილონი მდინარე ეფრატზე და მორთო იგი „დაკიდებული ბაღებით“, — ასეთია ზოგიერთი ძველი ბერძენი მწერლის ცნობა.

ნამდვილად კი „სემირამიდას დაკიდებული ბაღები“ სემირამიდამ როდი ააშენა, არამედ უფრო მოგვიანებით — ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში — ქალდეური ბაბილონის სახელგანთქმულმა მეფე ნაბუქოდონოსორმა. ამ მეფეს მიდიელი ქალი, სახელად ამიტისი, ჰყავდა ცოლად. მიღია მთავარიანი ქვეყანაა. მონატრებია ამიტისს თავისი მშობლიური მხარე, დანადვლიანებულა, და აი ნაბუქოდონოსორს მისი სეფდის გასაქარვებლად „დაკიდებული ბაღები“ გაუშენებია.

ნაბუქოდონოსორმა განსაკუთრებით სახელი გაითქვა გრანდიოზული მშენებლობით, რომელსაც ის ეწოდა თავისი ხანგრძლივი სახელოვანი მეფობის პერიოდში. ცნობილ ისტორიკოს ბ. ტურაევის თქმით, ნაბუქოდონოსორის ნაგებობებმა დაჩრდილეს ბაბილონის სალოცავთა უძველეს ამშენებელთა სახელები.

ნაბუქოდონოსორის შესანიშნავ მშენებლობათა შორის ყველაზე საოცარი იყო „დაკიდებული ბაღები“, რომლებსაც თავისი გრანდიოზულობითა და საუცხოობით ყველა აღტაცებაში მოჰყავდა.

„დაკიდებული ბაღები“ ნაბუქოდონოსორს ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში სააგარა-

კო სასახლესთან 160 ათასი კვადრატული ფუტის (დაახლოებით 15 ათასი კვადრატული მეტრის) სივრცეზე გაუმართაფს.


ბერძენი ისტორიკოსი დიოდორე (ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნე) აგვიწერს ამ ბაღებს, როგორც ტერასებიან — მიწაყრილი აივნებისაგან შემდგარ ნაგებობას, რომელიც „მთის მაგვარად სიმაღლით მიდიოდა, ერთ იარუსს მეორე, უფრო მაღალი იარუსი მისდევდა, ასე რომ მას თეატრის სახე ჰქონდა. ამ ერთიმეორეზე შემადგენულ ტერასებს რიგრიგობით განლაგებული კედლები იჭერდნენ... ყველაზე მაღალ კედელზე ბაღის ზედა ტერასი იმყოფებოდა, რომელიც ქალაქის კედლების სიმაღლეს სწევებოდა“.

ბერძენი გეოგრაფი და ისტორიკოსი სტრაბონი (63 წელი ძველი წელთაღრიცხვით და 19 წელი ახალი წელთაღრიცხვით) დამატებით ამისა ამბობს, ტერასები საბჯენებზე იდგა.

ასეთი ყოფილა ამ ბაღების გარეგნული სახე. არსებობს იმის ცნობებიც, თუ რა მასალისაგან და როგორ აუშენებიათ ეს ბაღები. უზარმაზარი ქვების საყრდენებზე აგურისა ბაქანი ყოფილა დაგებული, ზედ თლილი ქვის იატაკი გაუწყვიათ, იატაკზე თაბაშირის, ლერწმისა და ასფალტის სქელი ფენა დაუგიათ, ტყვის სქელი ფურცლები გადაუფარებიათ სინესტისაგან დასაცავად და, ბოლოს, ამ ფურცლებზე მიწა დაუყრიათ, და ისეთი ღირი რაოდენობით, რომ შიგ თავისუფლად შეეძლო ფესვები გაეღვა ასწლოვან ხეებს. ეს იყო ერთი იარუსი,

მას მინდევდა კიბეებით შეერთებული მეორე ეარუსი და ა. შ. ირწყუებოდა ეს ბაღები მდინარე

ევერატიდან ხელოვნურად ამოტუმბული წყლით. გათხრების დროს ნაპოვნია ფრესკები ამოსატუმბავ მოწყობილობათა ნაშთები.



## VI. ოლიმპის ზევსი

„ოლიმპის ზევსის“ სახელწოდებით ცნობილია ძველ ბერძენთა უზენაესი ღვთაების ზევსის ქანდაკება.




ოლიმპის ზევსი სახელგანთქმულ პერიკლეს თანამედროვესა და მის პირად მეგობარს, ძველი წელთაღრიცხვის V საუკუნის გენიალურ ათენელ მოქანდაკეს ფიდიასს გამოუქანდაკებია.

ეს ქანდაკება შესრულებული ყოფილა ქრისტოფორუსის ტექნიკით, ესე ავი ოქროსა და სპილოს ძვლისაგან ყოფილა ნაკეთები. სპილოს ძვლისაგან ფიდიასს ზევსის სხეული გამოუქანდაკებია, ოქროსი — თვა და წვერ-ულვაში გაუკეთებია, მოსასხამი კი — ოქროსი, მონიხანქრებული.

ზევის სამეფო ტახტზე იჯდა. მარჯვენა ხელში მას გამარჯვების ქალღმერთის — ნიკეს გამოსახულება ეჭირა, მარცხენაში — არწივიანი სკიპტრა. სამეფო ტახტი შავი ხისა, სპილოს ძვლისა და ძვირფასი ქვებზე საგან იყო ნაკეთები. ტახტის კვარცხლბეკი განსაკვიფრებელი ხელოვნებით ყოფილა შესრულებული. მთელი ქანდაკების სიმაღლე 13 მეტრს აღწევდა და ქალაქ ოლიმპიაში (სამხრეთ საბერძნეთი, ელიდა) ზევსის ტაძარში იდგა.

ფიდიასის ზევსის ღვთაებრივი სიდიადე ისეთ წარმტაც და წარუშლელ შთაბეჭდი-



ლებას ახდენდა, თურმე, მნახველებზე, რომ ვინც თავის სიცოცხლეში ვერ ახერხებდა ამ



ქანდაკების ნახვას, თავს უბედურად თვლიდა.

ვიდრე ფიდასი შექმნიდა თავის ზევსა, ყოველ ელინს თავისებურად ესახებოდა ეს თავისი უზენაესი ღვთაება, ეს „ღმერთებისა და ადამიანთა მამა“, მაგრამ რა რომ ფიდასმა გამოაქანდაკა „ოლიმპოს ზევსი“, უკვე აღარ შეიძლებოდა მისი სხეანაირად წარმოდგენა, არ შეიძლებოდა იგი სხეანაირი ყოფილიყო. იგი იყო ყველაზე კეთილშობილი, ყველაზე ამაღლებული, ყველაზე ესქილისებური ღვთაება, რომლის საღარი თვით ესქილეს ვერსად მოენახა.

ერთერთი ძველი პოეტი, რომელსაც თავისი თვალთ უნახავს ეს ქანდაკება, ასე აზრობს: „ან ღმერთი ჩამოსულა ციდან, რომ თავისე სახე ეჩვენებინა შენთვის, ფიდას, ან შენ ასულხარ ზეცას, რომ ღმერთი გეხილა“.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის რომაელთა სახელოვანი ორატორი და მწიგნობარი სოფოსი ციცერონი ხელოვნების ამი შეხანაძევის შნავი ქმნილების შესახებ ასე ამბობს: „... ზევსის გამოქანდაკებისას — ფიდასს თვალწინ მიწიერე არავინ ჰყოლია, რომ ორიგინალის მიხედვით ემუშავა, მაგრამ მისი სულის წინაშე სილამაზის დიადი იდეალი კიაფობდა, რომელსაც იგი გულისყურით სკვრეტდა და რომლის ასახვას თავისი ოსტატობისა და ტექნიკის საშუალებით ისწრაფვოდა“.

ფიდასის ზევსის ქანდაკებას ჩვენამდე არ მოუღწევია, არც მისი მიბაძვა არსებობს. მასზე მიხლოებითი წარმოდგენას იძლევა მხოლოდ ძველ მწერალთა აღწერითი ცნობები და ელიდური ფული ფიდასის ზევსის გამოსახულებით.



### VII. არტემისის ტაძარი

„არტემისის ანუ დიანას ტაძრის“ სახელწოდებით ცნობილია ძველ ბერძენთა ძალღმერთ არტემისის ტაძარი ძალაქ ეფესოში.




არტემისის ტაძარი ძალაქ ეფესოში (მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროზე) ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნის ხელოვნების

ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის. მისი მშენებლობა დაუწყიათ იმდროინდელ სახელგანთქმულ ხუროთმოძღვრებს ხერსიფრონოსს და მის შვილს მეტაგენესს, ხოლო ას ოცი წლის შემდეგ დაუსრულებიათ უკვე სხვა არქიტექტორ-მოქანდაკეებს.

ხერსიფრონოსის ნაგებობა მონუმენტური იონიური სტილის ტაძარი — დიპტეროსი იყო. სივანე ამ თვალწარმტაცი, თეთრი მარმარილოსაგან აგებული ტაძრისა 69 მეტრს შეადგენდა, სიგრძე—133 მეტრს. მთლიანი ქვებისაგან გამოთლილი მისი სვეტები 18 მეტრს აღწევდა სიმაღლით, მდიდრულად ყოფილა შემკობილი პლასტიკური გამოსახულებებით, რასაც ბრიტანეთის მუზეუმში დაცული ტაძრის ერთერთი სვეტის მოზრდილი ნაწილი ადასტურებს.

ძველი წელთაღრიცხვის 356 წელს, აწორედ ალექსანდრე მაკედონელის დაბადების ღამეს, ეს შესანიშნავი ტაძარი გადააწ-




ვა ეფესელმა ბერძენმა ჰეროსტრატოსმა. ამით ჰეროსტრატოსს უნდოდა უკვდავეყო თავისი სახელი, და ამას მან, შეიძლება ითქვას, მიადწია: ისტორიამ მართლაც შემოინახა მისი სახელი, მაგრამ არა დიდების შარავანდელით მოსილი, არამედ როგორც უაზრო და პირადი განდიდების მანიით შეპყრობილი ადამიანის განმსახიერებელი. ალექსანდრე მაკედონელის დროს ეფესოში არტემისის ძველი ტაძრის ადგილას ახალი ტაძარი ააგეს იმავე გეგმით, რა გეგმითაც ხერსიფრონოსს ჰქონდა აგებული, მაგრამ მას ახალი სული შთაბერა იმ დროის უდიდესმა ბერძენმა ხუროთმოძღვარმა დინოკრატესმა.



# ქართველი მეცნიერები



## პეტრე მელიქიშვილი




ცნობილი ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი იყო. ის ჯალრესად ზუსტ და დიდი ერთდროის მქონე მკვლევარად ითვლებოდა.

მის უდიდეს გამოკვლევათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს ახალი ნივთიერება ეგრეთწოდებული „იზოსერინი“ — „ნაირაბრეშუმის ნივთიერება,“ რომე-, ლსაც დღეს დიდი გამოყენება აქვს აეროსტატების ბალონებისათვის. აღსანიშნავია, რომ ამ ნივთიერების ფორმულასა და შემადგენლობაზე თვრამეტი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა დავა ცნობილი ქიმიკოსის ერლემიერსა და მელიქიშვილს შორის; კამათი ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა. მელიქიშვილს ეკუთვნის აგრეთვე საფუძვლიანი გამოკვლევები ლითონის ტექნოლოგიაში ზემოაღნიშნულის თეორიების შექმნაში. ამ საკითხის შემდგომმა დაზუსტებამ მენდელეევისა და მის მოწაფეს ლევ პისარევესკის (შემდგომ აკადემიკოსს) მსოფლიო სახელი მოუხვეჭა, და მათ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიისაგან ლომონოსოვის სახელობის დიდი მედალი მიიღეს.

1917 — 1927 წლებში პეტრე მელიქიშვილი საქართველოში ნოღვაწეობდა. იგი მუშაობდა ნეღლეულის ქიმიხატიის საკითხებზე, მიხერალური წყლების შესწავლაზე, ელექტროქიმიისა და ელექტრომეტალურგიის საკითხებზე, ქართული ქიმიური ტერმინოლოგიის დადგენაზე...

1927 წლის თებერვალში მელიქიშვილი საქვეშირო მეცნიერებათა აკადემიამ თავის წევრ - კორესპონდენტად აირჩია ამავე წლის 23 მარტს იგი გარდაიცვალა და დიდი პატივით დაკრძალეს თბილისის უნივერსიტეტის ეზოში.

## ანდრია რაზმაძე



17 წლის წინათ საქართველოს მეცნიერებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. ჩვენს რიგებს გამოაკლდა გამოჩენილი მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე, რომელმაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა მათემატიკური კადრების აღზრდასა და თანამედროვე მათემატიკური კვლევა-ძიების საქმეს საქართველოში. ანდრია რაზმაძე იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსების ერთ-ერთი ინციტორი და მისი პირველი მოღვაწეთაგანი ანდრია რაზმაძე დაიბადა სოფელ ჩხენიშში (სამტრედიის რაიონი) 1890 წელს. ქუთაისის რეალურ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი შედის მოსკოვის უნივერსიტეტში, რომელსაც ამთავრებს 1910 წელს ამავე წელს გაჰოდის მისი პირველი გამოკვლევა, ხოლო 1917 წელს რაზმაძე აბარებს სამაგისტრო გამოცდებს მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც იგი რჩება პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე.


თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსების დღიდანვე ის ჩამოდის თბილისში და დიდ მონაწილეობას იღებს თბილისის უნივერსიტეტში მათემატიკური დარგის ჩამოყალიბებაში.

1924 წელს რაზმაძე მიემგზავრება კანადაში (ქალაქ ტორონტოში) მათემატიკოსთა საერთაშორისო ყრილობაზე იქ ის რამდენიმე მოხსენებას აკეთებს. 1925 წელს რაზმაძემ პარიზში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

საქართველოში დაბრუნებისას რაზმაძე ენერგიულად ანაგრძობს თავის საქმეს, მაგრამ 1929 წელს მოულოდნელმა ავ. დემოფობამ შესწყვიტა მისი სიცოცხლე.

ანდრია რაზმაძის შრომებს მალალ შეფასებას აძლევდნენ მსოფლიო გამოჩენილი მათემატიკოსები ჰადამარი და კარათეოდორი. ანდრია რაზმაძე არის ფუძემდებელი თანამედროვე მათემატიკური კულტურისა და უმაღლესი მათემატიკის განათლებისა საქართველოში. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ მათემატიკურ ლიტერატურას და დაამკვიდრა თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ქართული ტერმინოლოგია.





# ტატა-ცილა

ყველამ იცით, რომ კვერცხი იხარშება. შეიძლება კვერცხისაგან ერბო-კვერცხი გაკეთდეს. მაგრამ ის კი, ალბათ, ყველამ არ იცით, რომ ყოველგვარი კვერცხის მაგრად მოხარშვა არ შეიძლება? აი მაგალითად ბუს კვერცხი, — რამდენიც უნდა ხარშოთ და წვათ, — მისი ცილა გამკვირვალე სითხედ რჩება და არ იკვრება. ასევე ემართებათ ბელურა ჩიტების, ჭიჭიკების, ყვავებისა და საზოგადოდ ყველა იმ ფრინველის კვერცხებს, რომელთა ბარტყები კვერცხიდან იჩეკებიან ლიდვლები, გიგლიანები და უმწეონი. სამაგიეროდ იმ ფრინველთა კვერცხის ცილა, რომელნიც კვერცხის ნაჭუჭის გამოტეხვისთანავე ბუზბულით შენოსილი იჩეკებიან და მაშინვე დედას უკან აედევნებიან, იკვრის და სითხედ არ რჩება.

ფრინველთა კვერცხი რომ ორხარისხოვანია, ეს აღმოჩენა მოახდინა არა ვინმე განსწავლულმა, არამედ პატარა ბიჭმა, აკადემიკოს ივანე რამაზის-ძე თარხნიშვილის ვაჟმა ტატამ. თავის აღმოჩენის შესახებ შვილმა უამბო მამას, რის შემდეგ დიდი მეცნიერი შეუდგა ყველა ჯურის ფრინველთა კვერცხისა და ცილის შესწავლას. ივანე თარხნიშვილმა იმ ფრინველთა კვერცხის ცილას, რომელიც ხარშვის დროს არ მაგრდება, მისი თვისების პირველი აღმოჩენის — თავისი ვაჟის სახელი უწოდა. ახლა ასეთ ცილას ტატა-ცილას ეძახიან.

## თარგმანი ანა ახალშენაშვილისა.

### მოკრებელი თეჰზი-ბოში

აფრიკის მდინარეებში, მრავალ ჯიშთა შორის გვხვდებით ერთგვარ უცნაური ჯიშის თევზს. ეს თევზი თავისი სიცოცხლის უმეტეს დროს სხეულთზე ატარებს: დღისით ის გამოდის წყლიდან და მთელ დღეს შლამში გორაობს, თბება მზეზე.

ამ უცნაურ თევზს ბოში ჰქვია. ბოში ზოგჯერ ხეზეც ადის და იქიდან ხტება წყალში. თუ ბოში წყალში რომელიმე მტერი გამოეკიდა ის, თავის დახცავად, მაშინვე წყლიდან ჰაერში ამოხტება.

ბოში ხშირად დარბის კიდევაც: შედგება თავის ბოლოზე და წინა „ფეხებზე“, და სკუპ სკუპით დახტის.




## გ. ა. ნადარეიშვილის რელაქციით № 1 ეტიულის ამოხსნა

მდგომარეობა: თეთრები: მფ1, ლც1, პპ:ც2, 12. შაეები: მფh2, ლა6, კხ6, პპ:ა4, ა5, ა7. ხ3, ხ4, ხ6. ეტიულის ამოხსნას ეპექეყნებთ ძირითად ვარიანტში, დანარჩენის გარჩევას ვანდობთ მკითხველს.

1. ლც1,—f4+ მფh2 — h1, 2. ლფ4 — e4+მფh1 — h2,
3. ლე4 — e5+პჰh2 — h1, 4. ლე5 — d5+მფh1 — h2,
6. ლd5 — d6+მფh2 — h1, 7. ლd6—c6+მფh1 — h2,
8. c2 — c4! მფh3 — g3, 9. ლc6 — f3+ მფg3 — h2,
10. ლფ3 — f4+მფh2 — h1, 11. ლფ4—e4+ მფh1 — h2,
12. ლე4—e5+მფh2—h1, 13. ლე5,—d5+მფh1—h2
14. ლd5—d6+ მფh2—h1, 15. ლd6—c6+ მფh1—h2.
16. e2—e3! ა4—ა3, (16... .. მფh2—g3, არ ვარგა რადგანაც 17. ლe6—d6+ მფg3—g4, 18. ლd6—f4+ მფg4—h5, 19. ლფ4—f5X).
17. ლc6—d6+ მფh2—h1. 18. ლd6—d5+ მფh1 — h2,
19. ლd5—e5+ მფh2—h1, 20. ლe5—e4+ მფh1—h2,
21. ლe4—f4+ მფh2—h1, 22. ლფ4—f3+ მფh1 — h2
23. ლფ3—f2-| მფh2—h1, 24. ლფ2—g1X.

### ეტიული № 2

#### გ. ა. ნადარეიშვილის



თეთრები: მფა8, ეა8, მგ7 (სულ 4).

შაეები: მფh8, ეფ4. პპ: d2. c6. ა5 (სულ 4).

თეთრები იწყებენ და იგებენ.

ივნიანი



# ბიბლიოთეკის კატალოგი

ივნიანი




135 წლის წინათ, 1811 წლის 13 ივნისს, დაიბადა დიდი რუსი მოაზროვნე ბეხარონ გიორგის - ძმ ბელინსკი. ის გარდაიცვალა 1848 წელს.



60 წლის წინათ. 1886 წლის 14 ივნისს, გარდაიცვალა გამოჩენილი რუსი დრამატურგი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ოსტროვსკი.



გასული წლის 27 ივნისს საბჭოთა კავშირის უველა შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდალს — ამხანაგ იოსებ ბეხარონის ძე სტალინს მიენიჭა უმაღლესი სამხედრო წოდება — საბჭოთა კავშირის ბენერალისიუსი.



დავით საგონის ძე კლდიაშვილი, ქართული რელიგიის შესანიშნავი წარმომადგენელი დაიბადა 1862 წელს სოფელ სიმონეთში, ზემო იმერეთში. მან თავის შესანიშნავ მოთხოვნებში უბაღლოდ დახატა იმერეთის თავადაზნაურობის ცხოვრება ის გარდაიცვალა 1931 წელს.



დიდი იადოელი მწერალი რაბინდრანათ თაგორი დაიბადა 1861 წელს. თაგორს სახელი მოუხვეჭა შესანიშნავმა წიგნმა — "სიცოცხლის მარადიულობა" 1913 წელს თაგორს მიანიჭეს ნობელის პრემია. ის გარდაიცვალა 1942 წელს.



10 წლის წინათ, 1936 წლის 13 ივნისს, გარდაიცვალა დიდი რუსი მწერალი პროლეტარული ლიტერატურის ფუძემდებელი, დაულალავი ემბარკოლი კოპუნიჩის ბაბარჯევის სტატივის — ალექსი მაქსიმის ძე გორკი. ის დაიბადა 1868 წელს.



5 წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს, უეტრად, ვერაგულად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს ფაშისტური გერმანია. დაიწყო დიდი სამამულო ომი.

გასული წლის 22 ივნისს გარდაიცვალა ყაზახეთის სახალხო პოეტი ჯამგულ ჯაბაევი. ის დაიბადა 1846 წლის ივლისში. ფულს მეთელმა საბჭოთა კავშირმა აღნიშნა მისი დაბადების 100 წლისთავი

275 წლის წინათ, 1671 წლის 16 ივნისს, საჯაროდ იქნა დასჯილი დონის კახაკთა მეთაური გლეხთა აჯანყების ბელადი სტეფანე ტიმოტეის ძე რაჩინი.



# პ ი ო ნ ე რ ი

საბ. ალკა ცენტრალური კომიტეტის  
პროლეტარული საბავშვო ჟურნალი

№ 6

ივნისი 1946 წ.

წელიწადი მეოცე

გამომცემლობა „კომუნისტი“

# ПИОНЕРИ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ДЕТСКИЙ ЖУРНАЛ ЦЕНТРАЛЬНОГО  
КОМИТЕТА ЛКСМ ГРУЗИИ

(на грузинском языке)

Год издания 20-й

№ 6

Издательство „Комунисти“

## შ ი ნ ა ა რ ს ი

მიხეილ ივანესძე კალინინი . . . . .	1 გვ.	ჩენი პიონერული ცხოვრება . . . . .	18 "
ბრძენი მასწავლებელი . . . . .	2 "	ილია სიხარულიძე—ბუკისციხე (ლექსი) . . . . .	19 "
ალექო შენგელია—გამარჯობა სოფელს! (ლექსი) . . . . .	გარეკანის მე-2 "	ი. მჭედლიშვილი—შგლები (სურათი) . . . . .	20 "
ხტალინური პრემიის ლაურეატები . . . . .	3 "	რაბინდრანად თაგორი—ჩემი სიმღერა, მსაჯული (მინიატიურები) . . . . .	21 "
მ. გორკი—ბავშვები (მოთხრობა. თარგმანი მანანა ხაზიურისა) . . . . .	4 "	ელიზბარ პოლუმორდვინოვი—რკინისა და თქროს დავა (პოემა) . . . . .	22 "
გიორგი კაჭახიძე—წიგნს დავხარი (ლექსი) . . . . .	9 "	ფეგენი წულაძე—უჩინარი სამყარო (წერილი მეოთხე ატომისტიკის ისტორიიდან) . . . . .	23 "
ლიდია მგერელიძე — არ მინდა დავიგვიანო (ლექსი) . . . . .	9 "	შ. გვინჩიძე—ძველი სამყაროს შვიდი საოცრება (ნარკვევი. დასასრული) . . . . .	26 "
რჩევა სალაშქროდ წამსვლელთათვის . . . . .	10 "	ქართველი მეცნიერები . . . . .	29 "
გიჟვარდეთ ფიჭულტურა . . . . .	12 "	ტატა-ცოლა . . . . .	30 "
შეგროვებ სამკურნალო მცენარეები . . . . .	13 "	ქადრაკი . . . . .	30 "
ილია ხოშტარია—ჩემო ბიჭუნავ... (ლექსი) . . . . .	15 "	პიონერის კალენდარი . . . . .	31 "
შალვა ფორჩხიძე—პატარა თამარს (ლექსი) . . . . .	15 "	გასართობი . . . . .	გარეკანის მე-3 "
შაქრო სამადაშვილი—ყანასთან (ლექსი) . . . . .	15 "		
როდონ კორქია—გამბუზია (პიესა) . . . . .	16 "		

გარეკანზე მხატვარ გ. გორდეღაძის ნახატი: „პიონერები საზაფხულო არდადეგებზე“.

სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, აკად. ნ. ბერძენიშვილი,  
შ. გვინჩიძე, ან. დულარიძე (პ/მგ. რედაქტორი), ვ. ვარდაიშვილი,  
პროფ. გ.თაფიშვილი, ს. კეცხოველი, პ. შეტრეველი, ნ. ნაკაშიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლეხიძის ქ., № 28. ტელ. 3-81-85.

უფ—88643 ტირაჟი 7000 გამომც. № 58 სტამბის შეკვეთა № 1042  
ბეროას სახელობის კომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ № 28  
ქურნალის გარეკანი დაბეჭდილია საქ. სსრ კვების მრეწვ. სამინისტროს ლითოგრაფიაში.